წელიწადი მესამე ფასი 10 კ. პროლეტარებო ყველა ქვეყნისა, შეერთდით!

# ახალი გზა

ყოველკვირეული პოლიტიკური, ეკონომიური და ლიტერატურული ჟურნალი.

კვირა, 6 მარტი 1927 წ.

რედაქცია და კანტორა
რუსთაველის პროსპექტი, № 22, ოთახი 20. ტელ. № 23—87
ღიაა ყოველ დღე, გარდა კვირა-უქმისა, დილის 9—1 საათამდე.

№ 7

## ჟურნალის შინაარსი

ორიენტაციის საკითხები—**ყარიბი**; რა ვიქნებოდით ურუსეთოთ?—**ლ. კუპრაშვილი**; სოციალიზმის გზით—**კ. ჯავრიშვილი**; რამ აუშალა ნერვები ინგლისის იმპერიალისტებს **ალ. ხელაძე**; ზოგი რამ ჩვენი ახლო წარსულიდან—**ს. ელიაძე**; გარკვეული გზით—**აკაკი უიჩხაია**; რას ვფიქრობდით—**ალისტრო ვადაჭკორია**; ოქტომბრის ორიენტაცია—**ზ. ჩახვაძე**; 8 მარტი—ლექსი—**გიორგი ქუჩიშვილი**; 8 მარტი—**ალექსანდრა ლლონტი**; სატრფოს კარავი—**განდეგილი**; ღრუბელი—**მიხეილ ჯიბლაძე**; თეატრი სოფლად—**გრ. მაჭავარიანი**; ერთ დილას მოთხრობა—**დავით ულიაშვილი**.

# ორიენტაციის საკითხები

III

ჩვენი სურვილი იყო მხოლოდ იმდენად შევხებოდით ამ საკითხს, რამდენადაც იგი გამოწვეული იყო ფრანგულ ჟურნალ „პრომეთე“-ში მოთავსებულ სტატიეით. მაგრამ იძულებული ვართ კვლავ განვაგრძოთ მის შესახებ წერა. ამის მიზეზი შემდეგი გარემოებაა: პირადათ ლაპარაკის დროს, თუ კერძო წერილებში ყველა ამ საგანზე გვირჩევს წერას. ამას დაჟინებით მოითხოვენ ჩვენი გაზეთისა და ჩვენი პოლიტიკური გზის თანამგრძნობნი და თანამგზავრნი, რომლების სურვილსაც არ შეიძლება ანგარიში არ გავუწიოთ, თუმცა უნდა მოგახსენოთ, რომ ეს საკითხი ჩვენ არ მიგვაჩნია დღეს აქტუალურ საკითხად.

ყოველი საკითხი აქტუალურია მხოლოდ მაშინ, როცა მას აყენებს თვით ცხოვრების სინამდვილე. მოუსავლობის დროს სიმშილობაზე წერა და ლაპარაკი სრულიად ბუნებრივია; ბუნებრივია სნეულებაზე ლაპარაკი მაშინ, როცა ეს სნეულება ფაქტია...

ასევე ბუნებრივი იქნებოდა საქართველოს ორიენტაციაზე წერა და ლაპარაკი, რომ დღეს მას რაიმე პოლიტიკური ხიფათი მოელოდეს, რომ მისი ყოფნა-არყოფნა საფრთხეში იყოს... ჩვენი ქვეყანა კი დღეს ასეთი საფრთხის წინაშე არა სდგას, მის არსებობას დღეს არავინ არ ექადის. დღეს მას აქვს თავისი საკუთარი იურიდიული და სოციალური სახე, აქვს თავისი კონსტიტუცია, აქვს სახელმწიფოსთვის ყველა აუცილებელი ატრიბუტები... გუშინ თვითმპყრობელ რუსეთის ყოველ უფლებებს აყრილი მონა, დღეს იგი საბჭოთა რუსეთის მიერ აღიარებულია სრულიად დამოუკიდებელ სახელმწიფოთ; დღეს ის უდიდეს რესპუბლიკებთან არის კავშირში, როგორც სწორი სწორთა შორის... კიდევ მეტიც: დღეს ქართველი ხალხი მთელი თავისი ენერგიით ჩაბმულია თავისი საკუთარი სახელმწიფოს აღმშენებლობის საქმეში...

და ასეთ დროს მის ორიენტაციაზე წერა და ლაპარაკი რაღაც იმასა ჰგავს, რომ სრულიად ჯანსაღ ადამიანს ექიმების კონსილიუმი მოუწყოთ.

ჩვენ სრულიად ბუნებრივად მიგვაჩნია, როცა საქართველოს ორიენტაციის საკითხს ნ. ჟორდანია და „მისი მთავრობა“ აყენებენ, რადგანაც ყოველი ის, რაც დღეს საქართველოში კეთდება, მათ ვერ მოუნელებიათ, რადგანაც მათ საქართველო წარმოუდგენიათ თავის საკუთარ საყმოთ, რომელმაც იქეთ უნდა იბრუნოს პირი, საითაც ჟორდანია-რამიშვილს მოესურვებათ...

ვიმეორებთ: ეს საკითხი სრულიად ხელოვნურად წამოიჭრა ჩვენს წინაშე, სრულიად ხელოვნურად შეიჭრა იგი ჩვენი მკითხველების შეგნებაში... ეს ასეა, მაგრამ ჩვენ მაინც იძულებული ვართ ანგარიში გავუწიოთ მათ სურვილს და საკითხს ხელ-ახლა დავუბრუნდეთ..

***

შეუძლია თუ არა საქართველოს დამოუკიდებლად არსებობა? და თუ არ შეუძლია, ვისი ორიენტაცია უნდა ირჩიოს მან?

ამაზე მხოლოდ ერთი პასუხი შეიძლება: თუ კი თავის საკუთარ ფეხებზე დგომა და საკუთარის ძალით არსებობა შეგვიძლია, ჩვენი ორიენტაცია წმინდა ქართუ-

ლია; მაშინ ჩვენ თავის-თავზე, თავის ქვეყანაზე ვაკეთებთ ორიენტაციას. ჩვენ მარქსისტები გახლავართ და მაშასადამე არ შეგვიძლია არ დავიცვათ, როგორც ქართველის, ისე სხვა პატარა ერების დამოუკიდებელი არსებობა იმპერიალისტური სახელმწიფების თავ ასხმიდან და მონობის უღელიდან.

ჩვენ წინა წერილში ვთქვით და აქაც ვიმეორებთ, რომ კომუნისტებმა პატარა ერების დამოუკიდებლობის ცნობის საქმეში კიდეც გადააჭარბეს: მათ ისტორიის წიაღიდან გამოიყვანეს უკვე დიდი ხნიდან დასამარებული ერები, ისეთი ერებიც კი, რომლებსაც უხსოვრის დროდან დაუკარგავთ არა თუ პოლიტიკური დამოუკიდებლობა, დაუკარგავთ კულტურის თვით ისეთი აუცილებელი ატრიბუტიც კი, როგორიც არის სამშობლო ენაზე წერის ნიშნები...

ჩვენი დევიზია: ყოველ ერს უნდა ჰქონდეს დამოუკიდებელი პოლიტიკური არსებობა.

მაგრამ სურვილი ერთია, მისი განხორციელების შესაძლებლობა კი მეორე. თუ ჩვენი ქვეყანა ვერ შესძლებს თავისი საკუთარ ფეხებზე დგომას, თუ მას არ ექნება საშუალება თავისი ძალების განვითარებისა და პროგრესის გზაზე სვლისა, მაშინ მან ძალა-უნებურად უნდა დაიწყოს ორიენტაციაზე ფიქრი, ძალა-უნებურად უნდა მოსძებნოს ისეთი მფარველი და მოსარჩლე, რომელიც მას მისცემს არსებობისა და განვითარების საშუალებას...

ჩვენ მწარე გამოცდილებამ დაგვანახა, რომ საქართველოს, იმპერიალიზმის ბატონობის ხანაში, არ შეუძლია დამოუკიდებელი არსებობა. ჩვენ ყველამ კარგად ვიცით, რომ საქართველოს დამოუკიდებლობის გამოცხადების პირველ დღიდანვე იძულებული შევიქენით რომელიმე დიდ სახელმწიფოსთან შეკედლებაზე გვეფიქრა... მთელი სამი წლის განმავლობაში სულ აქეთ იყო მიმართული მთელი ჩვენი დიპლომატიის ცდა, მთელი ჩვენი ზრახვები... ამ მწარე გამოცდილებამ დაგვანახა, რომ სანამ არსებობს იმპერიალიზმი, სანამ ძალაში რჩება ძველი თქმულება: ძლიერი სუსტისთვის მგელიაო,—მანამდე შეუძლებელია ლაპარაკი ამა თუ იმ პატარა ერის დამოუკიდებელ არსებობაზე.

საქართველოს ს.-დ. პარტიამ ეს ჩინებულად იცოდა; ის ამას გრძნობდა თავისი არსებობის პირველ დღიდანვე, ამიტომ იყო, რომ იგი მუდამ გამოდიოდა რუსეთის ორიენტაციის მომხრეთ. ამიტომ იყო, რომ ამ პარტიის ხელმძღვანელები ვერ ბედავდენ რუსეთიდან საქართველოს ჩამოშორებაზე ლაპარაკს მაშინაც კი, როცა რუსეთის იმპერია რევოლიუციის ცეცხლში იყო გახვეული და მისი შემადგენელი სხვადასხვა ერები თავის დამოუკიდებლობას კიდეც ანხორციელებდენ...

და როცა საქართველო რუსეთს ჩამოშორდა, ს.-დ. პარტიამ ვერ გაბედა მარტო ამ ქვეყნის ძალებს დაყრდნობოდა. ამიტომ იყო, რომ მან სცადა ამიერ-კავკასიაში მობინადრე უმთავრესი ერები ერთად შეეკავშირებია და მით ერთი, შედარებით ძლიერი, სახელმწიფო შეექნა...

მერე რა შედეგი მოყვა ამას? სულ მალე გამოირკვა, რომ ასეთი კავშირის შექმნა მაშინ ჩვენთვის შეუძლებელი იყო. ჩვენმა სეიმმა ორ თვესაც ვერ იარსება... სეიმი მოკვდა სრულიად ბუნებრივი სიკვდილით და მის ალაგას სამი სხვადასხვა რესპუბლიკა წარმოიშვა ამ პატარა ტერიტორიაზე შეიქმნა სამი სახელმწიფო. ყველა ისინი ალიჭურვენ სახელმწიფოსთვის აუცილებელი ატრიბუტებით: პარლამენტით, შეიარაღებული ძალებით და სხვა...

სამივე რესპუბლიკა აღიჭურვა, მაგრამ საერთო მტრის წინააღმდეგ კი არა. ისინი ერთმანეთს დაერივნენ... ატყდა მათ შორის ომები და აურ-ზაური და ანტანტასაც სწორეთ ეს უნდოდა. მან თავისი მგლური კბილები დროებით მიმალა და ამ რესპუბლიკების მსაჯულისა და არბიტრის როლში გამობრძანდა.

გაჩნდა ამ რესპუბლიკებს შორის ნეიტრალური ზონები, რაც იმის მაჩვენებელი იყო, რომ ამ რესპუბლიკების პოლიტიკური ხელმძღვანელები ჯერ იმდენად ვერ მომწიფებულიყვენ, რომ ერთმანეთის მტრობის ნაგიერად ერთმანეთისთვის ხელი მიეცათ, თავისი საქმეები თვითონ, თავისი საკუთარის ძალ-ღონით მშურად მოეწესრიგებიათ და მოსისხლე მტრების მოსაშუალეობა და ვექილობა არ დასჭირებოდათ...

ამ კავშირის დარღვევის საქმეში, რა თქმა უნდა, უდიდესი როლი ითამაშა ანტანტამ. ის ყოველ ღონეს ხმარობდა, რომ ამიერ-კავკასიაში უკმაყოფილება და სისხლის ღვრა გამოეწვია და მით მიზეზი ეშოვნა ჩვენს შინაურ საქმეებში ჩასარევად. მაგრამ, ჩვენდა სამწუხაროდ, უნდა ვაღვიაროთ, რომ ანტანტამ თვითონ აქ, ჩვენში, მონახა ჩინებული ნიადაგი თავისი ვერაგული პოლიტიკის საწარმოებლად.

რამ დაღუპა ამიერ-კავკასიის სეიმი? რამ დაშალა ჩვენი სამთა კავშირი?

არა თუ სახელმწიფოს ასაშენ ბლად, უბრალო ამხანაგობის შესაქმნელადაც კი აუცილებლად საჭიროა, რომ ყველა მასში შემსვლელ ელემენტებს ჰქონდეთ ერთი მიზანი, ერთი და იგივე ინტერესი, ერთი და იგივე იდეალი. უამისოთ კავშირი კავშირი არ არის. უამისოდ ის ემსგავსება კრილოვის გედის, კიბოსა და თევზის კავშირს, სადაც ერთი ცისკენ ეზიდება, მეორე წყლისაკენ, მესამე ხმელეთისაკენ.

სეიმის არსებობის პირველ დღიდანვე ჩვენ დავინახეთ, რომ მის შემადგენელ ერებს არ აღმოაჩნდათ ერთი მიზანი, ერთი იდეალი. დავიწყოთ იქიდან რომ ადერბეიჯანის წარმომადგენლები, რომლებიც სეიმის ყველა წევრების ერთ მესამედს აღემატებოდენ, სეიმის არსებობის პირველ დღიდანვე თვითონ თვლიდენ თავის ქვეყანას არა დამოუკიდებელ რესპუბლიკათ, არამედ ოსმალეთის შემადგენელ ნაწილად. გაეცანით სეიმის სტენოგრაფიულ ანგარიშებს და თქვენ იქ დაინახავთ, რომ სეიმში ადერბეიჯანის წარმომადგენლები აშკარად გამოდიოდენ ამიერკავკასიის დიდი ნაწილის დამპყრობი ოსმალეთის ჯარის სარდლობის მომხრეებათ...

აზერბეიჯანის ყველაზე უფრო დიდი და გავლენიანი პარტია მუსავატი აშკარათ იწევდა „ერთმორწმუნე“ ოსმალეთისაკენ. შეიძლება აქ სარწმუნოებით ნათესაურ კავშირს თავისთავად არც ისე დიდი მნიშვნელობა ქონდეს, მაგრამ აზერბეჯანის სასულიერო და უმაღლესმა წოდებამ, დიდი მამულების პატრონმა ბეგებმა, რომლებიც სეიმში ხალხის სახელით გამოდიოდენ, რელიგია გამოიყენეს თავისი კლასობრივი მიზნებისათვის, რაც იმაში მდგომარეობდა, რომ რაც შეიძლებოდა უფრო შორს გაქცეოდენ რევოლიუციონურ რუსეთს და ყველაზე უფრო ჩამორჩენილ სახელმწიფო სათათრეთისათვის შეეფარებიათ თავი. ამ წოდებამ ჩინებულად იცოდა, რომ სათათრეთის მფარველობის ქვეშ ის უფრო ადვილად და დიდხანს შეინარჩუნებდა თავის ლატიფუნდიებსა და ყოველგვარ კლასობრივ პრივილეგიებს, რასაც რუსეთსა და ამიერ-კავკასიაშიც ახლავე ემუქრებოდა დიდი რევოლიუცია...

სომხეთი? ამ ტანჯულმა ქვეყანამ განიცადა მთელი სიმძიმე იმპერიალისტური ომისა. დაშნაკელებმა სომხეთის ხალხის ბედი დაუკავშირეს თვითმპყრობელ რუსეთის ბედს და რაკი თვითმპყრობელობა ამ ომებში საუკუნოთ დამარცხდა, სრულიად ბუნებრივი იყო, რომ ძლევამოსილი ოსმალეთი სომხეთს შურის ძიების ობიექტად გადააქცევდა. ამის მიზეზი იყო დაშნაკცაკანის ვერაგული პოლიტიკა, რაც იმაში გამოიხატებოდა, რომ მან ოსმალეთის წინააღმდეგ დარაზმა სომხეთის ხალხი, თავისი საკუთარი სახელმწიფო ოსმალეთის წინააღმდეგ გამოიყვანა იგი... გამარჯვებულმა ოსმალეთმა შური იძია: მან თითქმის მთელ სომხეთის ტერიტორია ჩაიგდო ხელში. ასეთ სომხეთს, რა თქმა უნდა, არ შეეძლო თავის საკუთარ ძალას დაყრდნობოდა. და დაშნაკელებიც ხან ანტანტას მიმარ-

თავდენ დახმარებისათვის, ხან დენიკინს, ხან ორივეს ერთსა და იმავე დროს.

ასეთი მოვლენა სულაც არ იყო შემთხვევითი სომხეთის ისტორიაში. ოდესღაც დიდი სომხეთი რომელიც ისტორიის ბრმა კანონს დღეს სათათრეთის მხოლოდ რამდენიმე ვილაეტად გადაუქცევია, რა კი ვერ პოულობდა ევროპისაკენ გასავალ გზას, იძულებული იყო სხვა მხრისაკენ ებრუნებია პირი, ის ძალა-უნებურად იყო იძულებული რუსეთისაკენ გაწეულიყო, მისი მეგობრობა და მფარველობა ეძებნა. სომხეთი სრულიად ობიექტიურად იყო იძულებული მოქცეულიყო ასე მთელი თავისი გრძელი ისტორიის განმავლობაში და განსაკუთრებით მას შემდეგ, რაც ბიზანტიის ალაგას ოსმალეთი გაბატონდა და სომხეთს განვითარებია ყოველივე საშუალება წაერთო.

სომხეთს, რა თქა უნდა, მუდამ სურდა თავისი დამოუკიდებლობის შენარჩუნება. ტყუილად კი არ უღვრია მას სისხლი ათასის წლობით თავისი ეროვნული სახისა და ტერიტორიის შესანარჩუნებლად. მას სურს დამოუკიდებელი არსება, მაგრამ იმ პირობით თუ მას ამის შესაძლებლობას მისცემენ, თუ მას თავის ტერიტორიაზე დააყენებენ, თუ მასაც აღირსებენ ზღვის ჰაერით სუნთქვას, თუ მას არ მოუსპობენ კულტურულ განვითარების საშუალებას...

სომხეთი დარწმუნდა, რომ ამიერ-კავკასიის სეიმი მას ვერ მისცემდა ამის შესაძლებლობას. მან გამოცდილებით იცოდა, რომ ვერც სუსტ საქართველოსთან კავშირი მოუპოვებდა მას დამოუკიდებელი არსებობის შესაძლებლობას. აშკარა იყო, რომ მას მფარველად და დამხმარეთ უნდა მოენახა რომელიმე დიდი სახელმწიფო. ასეთი დიდი სახელმწიფო რუსეთი იყო. დაშნაკელების სომხეთისთვის „ერთმორწმუნე“ ქრისტეს მიერ ძმა თვითმპყრობელი რუსეთი, კომუნისტური სომხეთისათვის კი — სოციალიზმის მიერ ამხანაგად აღიარებული კომუნისტური რუსეთი.

ამ რიგათ ჩვენ ვხედავთ, რომ ამიერ-კავკასიის მობინადრე სამი უმთავრესი ერი ერთად ვერ მოთავსდენ, მათ არ გამოყვათ ერთი მიზანი, ერთი იდეალი. სრულიად ობიექტიური პირობების ძალით ერთი ოსმალეთისაკენ მიიწევდა, მეორე რუსეთისაკენ.

ახლა წარმოვიდგინოთ, რომ საქართველომ მიიღო დიდი ნაპოლეონის პოზა, და დადგა თავის საკუთარი ძალების მოიმედე. მერე რა მდოძარეობაში ვარდება იგი? ის რჩება მარტოთ-მარტო უმეგობროთ, უკავშიროთ, რჩება ეულად და გარიყულად. მერე შესაძლებელია ასეთი სახელმწიფოს არსებობა? არა. ასეთი სახელმწიფო ვერ იარსებებს. მით უმეტეს არ შეუძლია არსებობა საქართველოს, რომელიც გაჭიმულია იმ შარა-გზაზა, რომელიც თითქმის ერთად ერთი შესაერთებელი ძარღვია აზიასა და ევროპის შორის. ეს გარემოება ყოველვის აყენებდა საქართველოს აუტანელ პირობებში. ის, უმთავრესად ამ მიზეზით, ყოველთვის იყო რბევისა და აკლების საგანი აზიისა და ევროპის სხვადასხვა სახელმწიფოების მიერ. ეს გარემოება დღესაც განსაკუთრებულ პირობებში აყენებს მას...

აქედან გამომდინარეობს ჩვენი პასუხი პირველ კითხვაზე: შეუძლია თუ არა საქართველოს დამოუკიდებელი არსებობა?—ჩვენი პასუხი გარკვეულია: საქართველოს არ შეუძლია ოამოუკიდებელი არსებობა თუ ის გარემოცული იქნება იმპერიალისტური სახელმწიფოებით. მას შეუძლია დამოუკიდებელი იყოს მხოლოდ სოციალიზმის გამარჯვების დროს. საქართველოსა და ყველა პატარა ერების ბედი დამოკიდებულია სოციალიზმის ბედთან. გაიმარჯვებს სოციალიზმი—ყველა პატარა ერებს მიეცემა სრული შესაძლებლობა იცხოვროს ისე, როგორც ამას მისი საკუთარი ინტერესები უკარნახებენ. დამარცხდება სოციალიზმი — პატარა ერებიც ძველებურად დარჩებიან მონობის უღელ ქვეშ.

მეტყვიან: მერე სად არის ეს სოციალიზმიო? მართალია, ჯერ ის არ არსებობს. მაგრამ დღეს მის მებაირახტრეთ გამოდის საბჭოთა კავშირი. ის დღეს სოციალიზმის კარებთან ეწევა სამკვდრო-სასიცოცხლო ომს. ის საყვირით ხელში მოუწოდებს ყველას „აღთქმის ქვეყნისაკენ“.

საბჭოთა კავშირი დღეს აწარმოებს საბედისწერო ბრძოლას. ის ამ ბრძოლაში ან გაიმარჯვებს, ან დაიღუპება და რამოდენიმე საუკუნით მაინც თან წაიღებს კაცობრიობის ტანჯული ნაწილის იმედებს. თუ დღეს საბჭოთა კავშირში სოციალიზმი დამარცხდა, ის დამარცხდება რამოდენიმე ასი წლით.

დღეს ჩვენს თვალწინ სწყდება სოციალიზმის ბედი, დღეს სწყდება როგორც პროლეტარიატის, ისე ჩაგრული ერების ბედი...

და რა თქმა უნდა, სოციალისტურად მოაზროვნე კომუნისტებთან იქნება ამ ბრძოლაში; ფაშისტები კი მათ წინაამდეგ იბრძოლებენ.

ყარიბი.

# რა ვიქნებოდით ურუსეთოთ?

თუ ამ კითხვაზე პასუხის მიღება გვინდა, საჭიროა კარგად გავეცნოთ საქართველოს იმ ნაწილების დღევანდელ ყოფა-მდგომარეობას, რომლებიც საქართველოს კულტურის კერად ითვლებოდა უხსოვარ დროიდან. ეს ნაწილები გახლავთ მესხეთი, ჯავახეთი, (ეხლანდელი ახალციხის, ახალქალაქის მაზრები), აჭარისტანი და ლაზისტანი. ვინც საქართველოს ამ ნაწილებს დაიარს და ყოველივე მის კუთხეს დაბეჯითებით დაათვალიერებს, იგი უეჭველად დარწმუნდება, რომ ტყვილად არ უწოდებიათ ამ მხარისათვის საქართველოს კულტურის აკვანი.

საკმაოა გავეცნოთ თუნდაც მარტო ახალქალაქის მაზრას (ჯავახეთი). ამ მაზრაში თქვენ ვერ ნახავთ ვერც ერთ სოფელს, სადაც არ სჩანდეს შესანიშნავი ძეგლები ქართველი ხალხის მოსახლეობისა. ის დიადი ძეგლები, რომლებიც წარმოადგენენ ხუროთმოძღვრების საკვირველებას იმას მოწმობენ, რომ ეს ხალხი დიდათ კულტუროსანი ხალხი ყოფილა. საქართველოს ეს ძველი, მკვიდრად და საუცხოვო ქართული ჩუქურთმებით ნაკეთები ეკლესიები, თავისი ლამაზი და თვალწარმტაცი ნახელავობით დღესაც შურსა ჰგვრის ეხლანდელ მეცნიერ ხუროთმოძღვრებს.

სამწუხაროდ, ჩვენი ძველი კულტურის ამ საკვირველებას მტრობს მურტალი ადამიანის ხელი. ბუნების მრისხანებას კი მაზე ოდნავი დაღიც კი ვერ დაუსვამს. გადადიხართ ერთი სოფლიდან მეორეში და თქვენ განცვიფრებას საზღვარი არ ექნება: იქ თქვენ წინ დგანან ერთი მეორეზე უფრო შესანიშნავი ძეგლები, როგორც საეკლესიო ხუროთმოძღვრების სახით, აგრეთვე სასაფლაოების მორთულობით. სასაფლაოს, რომ უახლოვდებით ასე გგონიათ, მწოლარე ცხვრის ფარასთან მიდიხართ; მიხვალთ ახლოს და მხოლოდ მაშინ დაიჯერებთ, რომ ეს ცხვრის ფარა ქვისაგან გამოქანდაკებული, მაგრამ საუცხოვო მსგავსებაა რქებ გადაგრეხილ ცხვრებისა, რომლებიც წვანან თითეულ საფლავზე ცალკე ქართული ხუცური ზედ-წარწერით. ეს ძეგლებიც დიდი ხნის არიან, ბევრი მათგანი მრავალ საუკუნეთა წინათ დაუდვიათ აქ.

საქართველოს სხვა კუთხეებშიც: ქართლი, კახეთი, იმერეთი და სხვა, არიან ძვირფასი ძველი ძეგლები, რაც რა თქმა უნდა, ქართულ კულტურის დიად ნაშთებათ უნდა ჩაითვალოს, მაგრამ მე ვამბობ, რომ ამდენი ძეგლები და ასეთი ძვირფასები, რაც მოიპოვება თითქმის ყოველ სოფელში მესხეთ-ჯავახეთისა, არსად არ არის. რად ღირს მარტო კუმურდის მონასტრის წითელი ღერბის ქვით ნაშენი ძეგლი, რომლის მგზავსი არამც საქართველოს სხვა კუთხეებში, არამედ სულ მთელ მსოფლიოშიაც ბევრი არ იქნება (სამწუხაროდ ამ ძვირფას ძეგლსაც ანგრევს ადა-

მიანის ხელი). მონასტერ ვარძიაზე ლაპარაკი ხომ ზედმეტია, რომლის ხუროთ-მოძვრება შეუდარებელი მხატვრული ნაწარმოები განცვიფრებაში მოიყვანს ყოველ მნახველს (სამწუხაროდ ესეც ინგრევა და მალე ეს ძეგლი სულ დაიღუპება, თუ დროზე არ გაუჩნდა მზრუნველი ხელი.

ამ ძეგლებზე მითითება იმიტომ დამჭირდა, რომ მკითხველისთვის მეჩვენებია, რომ აქ მცხოვრები ჩვენი ხალხი გაცილებით კულტურული ყოფილა ერთ დროს, ვინემ დღევანდელ საქართველოს შუაგულში. ქართლ-კახეთში, იმერეთში და სხვაგან. მაგრამ გადაავლეთ თვალი დღევანდელ კახეთის ხალხის ცხოვრებას და თქვენ გაგაოცებთ მისი ყოველმხრივი ჩამორჩენილობა და უკულტურობა. ჯერ ერთი ის რომ, საქართველოს კულტურისაგან მესხეთ-ჯავახეთში დღეს ქართველობა თითქმის სულ მოსპობილია: აქაური მოსახლეობიდან ქართველები მხოლოდ 10% შეადგენენ. აქ დარჩენილა მარტო თორმეტი სოფელი ქართველებისა, დანარჩენები გამუსულმანებული ქართველები ერზერუმში გადახვეწილან. რუსეთ-ოსმალეთის ომების დროს, 1877 წ. ასეთია მდგომარეობა მესხეთის მიდამოზედაც. ქართველობა რიცხვობრივ აქაც განადგურებულია, აქაც მეტი წილი სხვა ეროვნებაა. ცოტათ თუ ბევრად წმინდა ქართველი მოსახლეობა დარჩენილა აჭარისტანში, მაგრამ იქ გამუსულმანებული ქართველობა იმდენად გადაუგვარებია ოსმალოს ძალადობას, რომ ჯერ კიდევ ათეული წელი იქნება საჭირო, რომ მათ შეიგნონ თავისი ვინაობა. ასე გადაგვარებული და ცხოვრებას ყოველ მხრით ჩამორჩენილები არიან ჯავახეთი და მესხეთის დარჩენილი ქართველებიც. მათში კულტურის ნასახიც არ მოიპოვება, ისინი სრულიად დამონებულნი არიან.

მერე რა არის ამის მიზეზი? როგორ მოხდა, რომ ქართლ-კახეთის „ტეტიები“, ან „ფხიკიანი“ იმერელ-გურულ-მეგრელები და სხვები კულტურას ზიარებულან და უძველესი კულტურის შემქნელი ხალხი, მესხეთ-ჯავახეთის მცხოვრებლები კი უკულტურო და გაუთლელ-გაურანდველი დარჩენილა?

ამის მიზეზი იყო საქართველოს სხვა და სხვა კუთხეების სხვა და სხვა პოლიტიკური ბედი. საქართველოს იმ ნაწილმა, რომელმაც რუსეთს დაუახლოვდა, შეინარჩუნა, კიდევ მეტი გააძლიერა თავისი კულტურა, ოსმალეთის გავლენის ქვეშ დარჩენილი საქართველოს ნაწილი კი ჩამორჩა კულტურულად და გადაგვარების გზას დაადგა...

რუსეთმა საქართველოს მოუპოვა მყუდრო ცხოვრება, გაანთავისუფლა ის მტრების ძალმომრეობისაგან. ხალხი შეუდგა კულტურულ ცხოვრებას, ის გამაგრდა მატერიალურად და სულიერად. სულ სხვა იყო მესხეთ-ჯავახეთის ბედი. საქართველოს ეს ნაწილი საუკუნოთ დარჩა ოსმალეთის გავლენის ქვეშ, ის მოსწყდა კულტურულ ცხოვრებას... და თუ ეს ასეა, მე ვეკითხები ჩვენს ურწმუნო თომებს, იმათ, რომლებიც ამბობენ: ჩვენ ჩვენს კულტურას ურუსეთოდაც შევინახავდით, უიმისოთ ბატონ-ყმობის უღელსაც მოვიცილებდით და სხვა... მე ვეკითხები: რატომ მესხეთ-ჯავახეთმა ვერ შესძლო ეს ურუსეთოთ. რატომ დარჩნენ თითქმის პირველ-ყოფილ ადამიანების მდგომარეობაში და რატომ ეს ხალხი დღემდის იმყოფებოდნენ ბატონ-ყმურ მდგომარეობაში“.

ახსნა მხოლოდ ერთია: იმიტომ რომ ისინი დარჩენ ოსმალეთის გავლენის ქვეშ და ოსმალეთი კი იყო და თითქმის დღესაც არის დესპოტიურ-ფეოდალური ქვეყანა. რაც განსხვავებაა ამ ორი ძველად ერთი მეორეს მოქიშპე სახელმწიფოების კულტურაში, ისეთი განსხვავებაა საქართველოს ორ დასახელებულ ნაწილებშიც. ქართველმა ხალხმა რუსეთში იპოვა საშუალება დაწაფებოდა კულტურას, პოლიტიკურად და ეკონომიურად გამართულიყო წელში და რუსეთის გლეხკაცობასთან და მუშათა კლასთან ერთად შესდგომოდა საუკეთესო მერმისის ძებნას. ის დღესაც იბრძვის რუსეთის ხალხთან ერთად სოციალიზმისათვის და ვინც ამ საქმეში ხელს შეუშლის, ვინც მას რუსეთისაგან გათიშვას ურჩევს, ის მისი მოსისხლე მტერია...

ჩვენ ვერავინ დაგვწამებს მეფეების სიყვარულს, მაგრამ არ შეგვიძლია მადლობით არ მოვიხსენიოთ მეფე ერეკლე მეორე, რომელმაც თავისი ბრძნული პოლიტიკური ნაბიჯით 130 წლის წინათ საქართველოსა და ქართველი ხალხის ბედი რუსეთსა და რუსის ხალხის ბედს დაუკავშირა. ამით ერეკლემ წაუშლელი სიყვარული დაიმსახურა ქართველ ხალხის გულში. მის ასეთ ამაგს არ დაივიწყებს ქართველ ერი, სანამ ის ცოცხალი იქნება...

რატომ უყვარს ერეკლე მეფე ქართველ ხალხს, რათ უმღერს ლექსებს, რომლებიც ასობით არის გაფანტული საქართველოს სხვა და სხვა კუთხეებში? იმიტომ, რომ მან მისი ასეთი პოლიტიკური ნაბიჯით გააბედნიერა ქართველი ერი, იხსნა იგი ფიზიკურად მოსპობისაგან და აზიარა მაღალ კულტურას.

და ამის შემდეგ ნუთუ ნება არა გვაქვს ვთქვათ, რომ უდიდეს დანაშაულს იდენენ ქართველ ხალხის წინაშე ის ჩვენი ყოფილი ამხანაგები, რომლებიც გვერდში ამოდგომიან ბამატს, ხოსროვ-ზადე ემინსა და სხვებს და მათთან შეხმატკბილებულად ურჩევენ ქართველ ხალხს: მოშორდი რუსეთს და ევროპის ორიენტაცია მიიღეო.

ლ. კუპრაშვილი.

# სოციალიზმის გზით

მორიგი „გამოცოცხლება“ ანტი-საბჭოთა ემიგრაციისა და მისი მზადება ახალი შემოტევისათვის საბჭოთა კავშირისა და, კერძოდ, საქართველოს წინააღმდეგ თავისთავად იწვევს ყოველ მშრომელში, ყოველ სალათ მოაზროვნე და თავის ერის მოკეთე ქართველში, აღშფოთების გრძნობას.

აგვისტოს გამოსვლებმა, როგორც სჩანს, არ აალებინეს ხელი მათი სულისჩამდგმელებს პოლიტიკურ სპეკულაციაზე გარეშე ძალებით და არ დააკარგვინეს რწმენა იმპერიალისტების მხრივ კეთილგანწყობილებაში საქართველოს მიმართ.

ამ შემოტევის გეგმებში ახალია ის, რომ ანტისაბჭოთა ემიგრაცია გამოდის გაერთიანებულ ფრონტით და, ამგვარად, ქართული მენშევიზმი, რომელშიაც ჩვენ ვგულისხმობთ, ამ შემთხვევაში, ყველა ანტი-საბჭოთა პოზიციაზე მდგომ სოციალისტური პარტიების ნაშთებს, შეუდგა მოკავშირეთა ძებნას ყოფილ რუსეთის დემოკრატიულ რესპუბლიკის მასშტაბით—ბოლშევიზმის მიერ განადგურებულ ძალთა შორის. სადამდისინ მივა იგი მეგობრულ ძალების ძებნაში და მათთან კავშირის გაბმაში ჩვენ ახლო მომავალი გვაჩვენებს, ერთი კი ცხადია, რომ ქართულ მენშევიზმისათვის ეს კოალიციური მისწრაფებანი ჩრდილოეთის მიმართულებით ახალს სიტყვას წარმოადგენს.

მენშევიკებს არ სჯერათ ის, რაც ყველასთვის, ვინც კი დაუკვირდება ჩვენ სინამდვილეს, საქართველოს გასაბჭოების 6 წლის თავზე, ცხადია: საქართველოს მშრომელებმა დაუკავშირეს თავისი ბედი და მომავალი საბჭოთა კავშირის მშრომელებთან, მსოფლიო პროლეტარიატის სოციალიზმისათვის ბრძოლასთან და იმპერიალიზმის კლანჭებისაგან დაჩაგრულ ერთა განმანთავისუფლებელ ბრძოლასთან.

ამ ერთა განუზომელ, ზრდის პროცესში მყოფ, რევოლიუციონურ ძალას გამოჰყავს, ერთ დროს მიძინებული, აღმოსავლეთი თანამედროვე კაცობრიობის ღირსეულ აღ-

გილას, და იმპერიალიზმის ხანაში, ამ რევოლიუციონურ ძალას შეიძლება მოკავშირეთ ჰყავდეს მხოლოდ ერთი კლასი კაპიტალისტურ საზოგადოებისა—პროლეტარიატი. ამიტომაც ბუნებრივია, რომ საბჭოთა კავშირი მიაჩნია ამ ერებს ერთგულ მოამაგეთ და ამიტომაც ცხადია ისიც, რომ ნ. ჟორდანიას მიერ შეყვარებული თეორია „წითელი იმპერიალიზმის“ და „აღმოსავლეთის ფანატიკოსების“ შესახებ წარმოიშვა იმპერიალისტურ და არა სოციალისტურ ევროპის ნიადაგზე და აერთებს მის მიმდევართ იმპერიალისტურ ტიპის პოლიტიკოსებთან.

რითი აიხსნება ის, რომ საქართველოში,მიუხედავად მრავალგვარ სიძნელეებისა, ჩაყრილია მტკიცე საფუძველი ეროვნულ კულტურის განვითარებისათვის? პირველ ყოვლისა იმაში, რომ ბოლშევიკებმა ეროვნულ პრობლემების გადასაჭრელად მიმართეს ჩვენი დროის, ესე ვსთქვათ, ერთად-ერთ დემოკრატიულ პრომეთეს და მის საღ ეროვნულ გრძნობის—იმავე პროლეტარიატს და მშრომელ გლეხობას.

რადიკალურად, და არა მენშევიკურად, **„პრომოთეს“** სხეულიდან აჭყრილია საუკუნოების განმავლობაში მის მიერ გარებული სოციალურ-პოლტიკური მონობის ბორკილები და ამ ფაქტს, მარტო ამ ფაქტს, თანდათანობითი მოსდევს ჩვენი კულტურის ყოველივე დარგში დამყარება ცხოველი მუშათა და გლეხთა საზოგადოებრიობის სულისა. ეს არის სწორეთ უდიდესი ეროვნული მიღწევა. ამიტომაც ჩვენ, სოციალისტებს, შეგვიძლიან სრულ დამშვიდებით და რწმენით უცქიროთ ხალხის მომავალ კულტუროლ განვითარებას.

მუშათა და გლეხთა თვითმოქმედი სოციალისტური ინტელიგენცია, საკუთარ მშრომელთა სამშობლოსი ბედის მპიდილო, ამჟამად არსიბულ მუშაობის შესაძლებლობით და მასშტაბით, შეიძლება შექმნილიყო მხოლოდ საბჭოთა ხელისუფლების დამყარების საშუალებით, და საბჭოთა ჭეშმარიტ დემოკრატიის პირობებში, რომლის გზას ჩვენ დავადექით, იგი იზრდება, როგორც სახელმწიფოებრივი და კოლტურული ძალა.

მენშევიკური პარტია სცდილობდა თავის დროზე ბოეზარდა და გაეწვრთნა პოლიტიკურად მუშათა კლასის აქტიური კადრები და ამ მხრივ, რევოლიუციის ბრძოლის წარსულში, მას დიდი ღვაწლი მიუძღვის. მხოლოდ, საქმე ის არის, რომ მენშევიზმის შემცდარი გაგება რევოლიუციისა, როგორც ბურჟუაზიულისა, და კლასთა ბრძოლის მეთოდის გადამახინჯება, მიაკუთვნა მუშათა კლასს პარტიის დამხმარე ძალის როლი და, როგორც სახელმწიფოებრივი და კულტურის შემქნელი ძალა, მუშათა კლასი უნდა გამოსულიყო გამოურკვეველ მომავალში, იმის შემდეგ, როცა ბურჟუაზია სავსებით ამოსწურავდა თავისი „პროგრესიულ“ შინაარსს და მიღებული იქნებოდა მენშევიკური სანქცია (ნებართვა) სოციალურ რევოლიუციისათვის. ცხადია, რომ მენშევიკური იდეოლოგია სთქვიფავდა მუშას წვრილ-ბურჟუაზიულ მასაში და ხელს უშლიდა მისი თავისებური ინდივიდიალობის გაშლას. ეს გარემოება თავისი უარყოფითი დაღს ასვამდა მთელ საზოგადოებრივ ცხოვრებას.

ცნობილია ისიც, რომ ერთ დროს ქართველი ინტელეგენციის, მისი სოციალისტური ნაწილისა ყოველ შემთხვევაში, საკმარისად მრავალრიცხოვან ფენებს, როგორც პარტიულს, ისე უპარტიოსაც, სჯეროდათ მენშევიკურ ბელადების პოლიტიკური გამოცდილება და საღი ეროვნული გრძნობა. რასაც, განსაკუთრებით, მოითხოვდა რევოლიუციის ხანის რთული საერთაშორისო ვითარება, სჯეროდათ, მიუხედავად ვიწრო ჯგუფურ პოლიტიკისა, რომელსაც აწარმოებდნენ მენშევიკები თავისი საკუთარ პარტიის მასშტაბითაც კი. ეს იყო დიდი ილიუზია, რომლისგან განთავისუფლება ძვირად დაუჯდა ჩვენ მშრომელ ინტელიგენციას. ამჟამად იგი ჩაბმულია სოციალისტურ აღმშენებლობის სხვადასხვა დარგში.

ჩვენ ვსცხოვრობთ კლასთა ბრძოლის უდიდეს ეპოქაში. საბჭოთა ხელისუფლების არსებობა 9 წლის განმავლობაში ამჟამად არავის შეუძლიან გულუბრყვილოდ ახსნას ყოფილ რუსეთის მშრომელ მასის კლასიურ შეგნების ჩამორჩენილობით. ბოლშევიზმის სახით გაიმარჯვა თვით მუშათა კლასმა მშრომელ გლეხობასთან ერთად, გაიმარჯვა არა მარტო სამოქალაქო ომის ველზე, არამედ საალმშენებლო მუშაობის ასპარეზზედაც, მიუხედავად უთვალავ დაბრკოლებებისა და გარეშე ძალების მტრობისა.

თავისი ოქტომბერი მოელის ბურჟუაზიულ ევროპასაც, მიუხედავად იმ შედარებითი სამეურნეო გამაგრებისა, რომელსაც იგი ბოლო დროს მიაღწია: ერთი მხრივ მუშათა მასების პოლიტიკურ აქტივობის ზრდა და მისი თვალსაჩინო განთავისუფლება მე-2 ინტერნაციონალში შემავალ პარტიების გავლენისაგან, მეორე მხრივ, მოწინააღმდეგე ბანაკში, გათელვა ტრადიციულ ბურჟუაზ.-დემოკრატიულ უფლებრივ ნორმებისა და გაძლიერება ფაშისტურ ელემენტებისა და მმართველობის მეთოდებისა. საერთაშორისო მენშევიზმი მუდმივი ქანაობის პოლიტიკით, ერთ და იმავე დროს, აძლიერებს იმპერიალისტთა ძალების პოზიციებს. და უნებლიეთ, ხელს უწყობს მის მომდევნე მუშათა მასების გათიშვას და საბოლოოდ აძლიერებს კომუნისტურ პარტიების და მე-3 ინტერნაციონალის ძალას და გავლენას. დიდი იმპერიალისტურ ომის შემდეგ ფორმალური დემოკრატიის მანქანა ჩვეულებრივი სიმარდით ვეღარ ემორჩილება თავისი ბურჟუაზიულ ბატონებს. იმპერიალისტური ბურჟუაზია მიმართავს ყოველგვარ საშუალებებს: ვითომდაც დემოკრატიულს (ერთა ლიგა), აშკარად რეაქციონურს და რეპრესიულს (მოიგონეთ სამხედრო წესები ინგლისში მემაღაროეთა გაფიცვის დროს და თეთრი ტერორი სხვა ქვეყნებში), ამ საშუალებათა თავისებურ კომბინაციას — ფაშიზმს, მაგრამ არავითარი ბურჟუაზიული სოციალ - პოლიტიკური ალხიმია ვერ დაფარავს და სინამდვილიდან ვერ ამოშლის იმ ფაქტს, რომ ბურჟუაზიულმა წყობილებამ სავსებით ამოსწურა თავისი ოდესღაც, ობიექტიურად - პროგრესიული შინაარსი. სწორედ ამიტომ ბურჟუაზიას შეუძლია მხოლოდ იოცნებოს თავისი შერყეულ ბატონობის შენახვაზე და არა გაფართოებაზე, — პროლეტარიატი, ეს „უკანასკნელი“ კლასი კაპიტალისტური საზოგადოებისა, უკვე გადავიდა მსოფლიო მასშტაბით შეტევაზე ამ საზოგადოების სიმაგრეების დასანგრევად და ახალ სოციალისტურ საზოგადოების ასაშენებლად.

ჩვენი ეპოქის ამ დამახასიათებელ თვისებებით, აიხსნება ის ყიჟინა საბჭოთა კავშირის წინააღმდეგ, რომელიც გაისმის იმპერიალისტური მთავრობისა და პოლიტიკოსების ბანაკში... კომუნიზმის ლანდი მათ არ შორდებათ იმ შემთხვევაშიაც, როცა, როგორც ჩინეთში, რევოლიუციას მხოლოდ ეროვნულ - განმანთავისუფლებელ და დემოკრატიული მოძრაობისა ხასიათი აქვს. ეს არის სიბერის ბრაზი დრომოჭმულ, უკვე დაუძლურებული და წარმავალი კლასისა.

ქართულ ემიგრაციას არ უნდა დავიწყებოდა სამოქალაქო ომის ისტორიიდან, რომ საბჭოთა ხელისუფლების წინააღმდეგ ბრძოლის პროცესში „ზომიერ“ სოციალისტებს იმორჩილებდა თავისი ძალით და გავლენით ყველა ჯურის თეთრგვარდიელთა ხროვა, რომლის განკარგულებაში იყო იმპერიალისტურ სახელმწიფოთა ხიშტები და ოქრო. არავითარი „მესამე“, ვითომც დემოკრატიული ძალა, მათ ვერ მოეშველათ იმ უბრალო მიზეზით, რომ ეს ძალა სინამდვილეში არ არსებობდა იმ დროს, ის უმეტესათ არ არსებობს ამჟამად.

დროა განთავისუფლდეს ამ ილიუზიისაგან ქართული ემიგრაციის თუნდაც ის მცირე ნაწილი, რომელსაც საბოლოოდ არ შეუწყვეტია კავშირი სოციალიზმთან და აინტერესებს ქართველ ხალხის ბედი და მომავალი. ის ეროვნული პოლიტიკა, რომელიც არ გამომდინარეობს მშრომელ მასების ინტერესებიდან და არ ეყრდნობა ამ მა-

სების თანაგრძნობას, არის და ყოველთვის იქნება ერის დამღუპველი.

საბჭოთა ხელისუფლების დამხობა გააძლიერებდა ყველა ქვეყნისა ბურჟუაზიულ მთავრობებს და მათ რეაქციონურ პოლიტიკას. ეს კარგათ ესმით დასავ. ევროპის მუშათა კლასის ფართო ფენებს და ამიტომაც ომის და ინტერვენციის პოლიტიკა ვერ იპოვის თანაგრძნობას მე-2 ინტერნაციონალშიაც კი შემავალ პარტიათა შორის. საამისოდ არის საკმარისად დამარწმუნებელი საბუთები. ეს არის ზედმეტი მიზეზი, რომელიც აიძულებს ანტისაბჭოთა ემიგრაციას დაუკავშიროს თავისი ზრახვები და შემოტევის გეგმები იმპერიალიზმის შავბნელ ძალების გამოსვლას.

სინამდვილეში არსებობს მხოლოდ ორი გზა: ერთს ჩვენ მივყევართ ძველი ურთიერთობის აღდგენისაკენ— სოციალ - პოლიტიკურ მონობისაკენ და ეროვნულ დაბეჩავებისაკენ, მეორეთი — მშრომელთა საბოლოოვო გამარჯვებისაკენ - სოციალიზმისაკენ და ეროვნულ შემოქმედ ძალთა გაფურჩქვნისაკენ. საშუალო გზა არ არსებობს. საქართველოს მშრომელი მასა დაადგა ამ მეორე გზას და ყოველი იერიში მიმართული საბჭოთა კავშირის წინააღმდეგ ლახვარს სცემს მისი საარსებო ინტერესებს.

თუ ეს არ შეადგენს მიზანს სოციალიზმისათვის საბოლოვოდ არ დაკარგულ ემიგრაციის რომელიმე ნაწილისათვის, მაშინ მან უნდა აამაღლოს თავისი ხმა დამღუპველ პოლიტიკის წინააღმდეგ, და დაუბრუნდეს მშრომელთა ოჯახს და სამშობლო კერას. *)

ქ. ჯავრიშვილი.

*) ამ წერილის ავტორი არის ყოფილი ესერი, საქართველოს პარლამენტის ყოფილი წევრი, ცნობილი პარტიული მოღვაწე ჟურნალისტი ის თვითმყრობელობის დროს დიდხანს ცხოვრობდა საზღვარგარეთ როგორც პოლიტიკური ემიგრატი, ხოლო საქართველოს გასაბჭოების შემდეგ იცავდა შეურიგებელ პოზიციას საბჭოთა ხელისუფლების წინააღმდეგ.

რედ.

# რამ აუშალა ნერვები ინგლისის იმპერიალისტებს

ამ დღეებში გამოქვეყნდა ინგლისის მომართვა საბჭოთა რესპუბლკების ცენტრალურ მთავრობის სახელზე. ამ მომართვაში ჩემბერლენი აღნიშნავს იმ „მტრულ გამოსვლებს“, რომლებიც საბჭოთა კავშირის თვალსაჩინო პოლიტიკურ მოღვაწეებს უწარმოებიათ.

ნოტაში ლაპარაკი არ არის კონკრეტიულ ფაქტებზე, არამედ ზოგადი ბრალდებით იწყება და თავდება ეს ინგლისის დიპლომატიის „თვალსაჩინო“ აქტი. ინგლისის დიპლომატიას გასულში ახასიათებდა თავდაჭერილი და დარბაისლური კილო. დღეს კი ინგლისის ნოტას რაღაც ნერვიულობა ეტყობა.

რაშია საქმე? რამ აუშალა ნერვები, რამ დაუკარგა სიმშვიდე ამ გამოქნილ დიპლომატებს?

საქმე შემდეგშია.

დიდი ბრიტანეთის იმპერია—ეს კლასიკური ქვეყანა კაპიტალიზმისა მთელ მსოფლიოში, მე-20 საუკუნის დასაწყისიდან რეგრესის გზაზე შესდგა და ამ მიმართულებით ის მძლავრი სიჩქარით მიექანება დაშლისა და დაღუპვისკენ. მთელი რიგი მიზეზებისა აჩქარებს ინგლისის ბურჟუაზიული ეკონომიკის დაცემას დრომოჭმულ და სხვა მოქიშპე სახელმწიფოებთან შედარებით, ჩამორჩენილი საწარმოვო ტეხნიკა, ინგლისის ეკონომიური საფუძვლის, ნახშირის ენერგიის სხვა სახის ენერგიით შეცვლის აუცილებლობა, ინგლისის კოლონიებსა და დომინიონების ინდუსტრიალური განვითარება, ნაციონალური რევოლიუციები იმ კოლონიებში, რომლებიც ინგლისს აწვდიდენ აუარებელ ნედლ მასალას და იმავე დროს წარმოადგენდენ ინგლისის ფაბრიკატების გამსაღებელ ფართო ბაზარს და ბოლოს ძლიერი კონკურენცია ამერიკისა და ევროპის დიდი სახელმწიფოებისა,—აი ის ფაქტორები, რომელმაც დააქვეითა ინგლისის ეკონომიკა. თუ რამდენათ დაკარგა ინგლისმა თავის წინანდელი სავაჭრო პოზიციები თავისივე საბრძანებელ დამორჩილებულ ქვეყნებში ამას ცხადყოფს შემდეგი ციფრები:

**ავსტრალიაში**

ამერიკამ შეიტანა: 1914 წ. 38,7 მილ. დოლარის საქონელი

| | | | |
|---|---|---|---|
| 1923 წ. | 119,4 | მილიონი | დოლარი |
| 1924 „ | 125,2 | „ | „ |
| 1925 „ | 148,5 | „ | „ |

**ეგვიპტეში**

| | | | |
|---|---|---|---|
| 1914 წ. | 17 | მილიონი | დოლარის |
| 1923 „ | 6,2 | „ | „ |
| 1924 „ | 5,9 | „ | „ |
| 1925 „ | 7,4 | „ | „ |

**ბრიტანეთის აღმოსავლეთ ინდოეთში**

| | | | |
|---|---|---|---|
| 1914 წ. | 14,2 | მილიონი | დოლარის |
| 1923 „ | 39,5 | „ | „ |
| 1924 „ | 44,3 | „ | „ |
| 1925 „ | 52,1 | „ | „ |

**ბრიტანეთის სამხრეთ-აფრიკაში**

| | | | |
|---|---|---|---|
| 1914 წ. | 19,9 | მილიონი | დოლარის |
| 1923 „ | 28,4 | „ | „ |
| 1924 „ | 36,0 | „ | „ |
| 1925 „ | 46,2 | “ | „ |

**დასავლეთ აფრიკაში**

| | | | |
|---|---|---|---|
| 1914 წ. | 3,2 | მილიონი | დოლარის |
| 1923 „ | 8,1 | „ | „ |
| 1924 „ | 8,0 | „ | „ |
| 1925 „ | 10,7 | „ | „ |

**აღმოსავლეთ აფრიკაში**

| | | | |
|---|---|---|---|
| 1914 წ. | 0,7 | მილიონი | დოლარის |
| 1923 „ | 1,5 | „ | „ |
| 1924 „ | 2,6 | „ | „ |
| 1925 „ | 3,8 | „ | „ |

(ყველა სტატისტიკური ცნობები ამოღებულია ამხ. ბუხარინის წიგნიდან „ევროპის სტაბილიზაცია“).

ფაქტია, რომ ინგლისის კაპიტალი, მისი მატერიალური ძლიერება ერთობ გამაგრდა და გამტკიცდა კოლონიების ხარჯზე; მეორე მხრივ, ამ მონოპოლისტურმა მდგომარეობამ ინგლისში შექმნა ნიადაგი სამოქალაქო ზავისა. ინგლისის ბურჟუაზია თავის ზედმეტ მოგებიდან ნამცეცებს უნაწილებდა მუშების ზედა ფენებს. ეგრეთ წოდებული მუშათა არისოკრატია ინგლისში ძლიერ კარგათ გრძნობდა თავს.

საერთოდ ცნობილია, რომ ინგლისის მუშათა მოძრაობას გასულ პერიოდებში ახასიათებდა რეფორმიზმი და ოპორტიუნიზმი. ამ მოძრაობის სულის ჩამდგმელი და ხელმძღვანელი სწორეთ იყვნენ ის მუშათა არისტოკრატია რომლებიც რიგიანათ იყვენ მოკალათებულნი ინგლისის ტრედ-იუნიონებში და თავის ვიწრო პროფესიონალურ ინტერესებს ვერ გაშორებოდენ.

ობიექტიურათ მათ ასეთ მოღვაწეობას ამართლებდა და ადასტურებდა ნამცეცებით კვება ბურჟუაზიის მიერ ზედა ფენებისა. მაგრამ მას, შემდგ, რაც ინგლისის მონოპოლიური მდგომარეობა დაირღვა, მას შემდეგ, რაც მას გაუჩნდა უძლიერესი კონკურენტები ამერიკის და სხვა ევროპიულ სახელმწიფოების სახით, ზედმეტი მოგების დაგროვება

უწინდელი მასშტაბით ინგლისის ბურჟუაზიამ ველარ შესძლო. და ამიტომაც დაიწყო მან იერიშები ინგლისის მუშათა კლასზე, რათა მათი „პრივილეგიური“ მდგომარეობა მოესპო.

სწორეთ ამ დღიდგან ირღვევა სამოქალაქო ზავი და ინგლისის პროლეტარიატი მტკიცედ სდგება კლასიურ ბრძოლის ნიადაგზე. უკანასკნელი გაფიცვა მრავალ მილიონიანი ინგლისის პროლეტარიატისა, სავსებით ადასტურებს ახალი ეპოქის შექმნას ინგლისის მუშათა მოძრაობაში. რომ ინგლისი თანდათან ეცემა მსოფლიო წარმოებაში, ამას ადასტურებენ ქვემოთ მოყვანილი ციფრები:

**ნახშირის დამუშავება**

მსოფლიო მასშტაბით გამოიხატება შემდეგ პროცენტებში 1913 წ. ინგლისმა დაამუშავა 24,4 პროც., ამერიკამ კი 43,2 პროცენტი, 1925 წ. ინგლისმა 21,4 პროც., ამერიკამ 45,7 პროცენტი.

**თუჯის წარმოებაში**

ინგლისი—1913 წ. 13,3 პროც., 25 წ. 8,3 პროც., ამერიკა—1913 წ. 39,8 პროც., 1925 წ. 48,1 პროცენტი.

**ფოლადის დამუშავება**

ინგლისი—1913 წ. 10,3 პროც., 1925 წ. 8,5 პროც., ამერიკამ—1913 წ. 41,7 პროც., 1925 წ. 51,1 პროცენტი.

**ბამბის მოხმარება**

ინგლისი— 1913 წ. 21,0 პროც., 1925 წ. 14,8 პროც., ამერიკა—1913 წ. 25,3 პროც., 1925 წ. 27,3 პროც..

ინგლისის ეკონომიურ ძლიერების დაცემაში აგრეთვე შესამჩნევ როლს თამაშობს ჩინეთიც თავისი ნაციონალურ-განმათავისუფლებელი მოძრაობით. ამ ქვეყანაში დიდძალი მსხვილი სამრეწველო დარგები ეკუთნის უცხო კაპიტალს. სადამოჟნო გადასახადი, კერძო მონოპოლიური ვაჭრობა და სხვა უცხო კაპიტალის ხელშია.

1925 წ. დასაწყისში ინგლისს ჩინეთში თვიურათ შეჭონდა 27 მილიონი იარდი ბამბეულობის ქსოვილისა. შემოდგომაზე კი მან შეიტანა მხოლოდ 8 მილიონი. საქონლის შეტანის ასეთი მეცნიერება გამოიწვია ინგლისის საქონელზედ ჩინელების ბოკოტმა. ამ ბოკოტით ჩინეთის ხალხმა უპასუხა ინგლისის მხეცურ პოლიტიკაზე, რაც გამოიხატა ჩინეთის ხალხის მასიურ ხვრეტაში და სხვა რეპრესიებში.

1901 წ. ინგლისელები ჩინეთიდგან „ბოქსიორთა“ ომიანობის დროს შემოღებული კონტრიბუციის სახით ღებულობდენ წლიურათ 400 ათას გირვანქა სტერლინგს. ასევე ღებულობდენ სხვა სახელმწიფონიც. მხოლოდ საბჭოთა კავშირმა კი, უარი სთქვა მის ხვედრ ყოველწლიურ ერთ მილიონ სტერლინგზე და ამასთანავე უარყო ის პრივილეგიები ჩინეთში, რომლითაც სარგებლობდა იმპერიალისტური რუსეთი. ჩინეთის რევოლიუციონური მოძროაბა არის მიმართული საერთოთ იმპერიალიზმის წინააღმდეგ და კერძოთ ინგლისის ბატონობის შესაზღუდავათ. ჩინეთს სურს გაინთავისუფლოს თავი იმპერიალისტების ცარცვაგლეჯიდგან. ბრიტანეთის ბურჟუაზიისთვის კი ჩინეთში მარტო ჩინეთის საკითხი როდი წყდება. აქ წყდება ამ ვეებერთელა სახელმწფოს ბედი, როგორც აზიის მბრძანებელისა. ამიტომ ინგლისის მმართველი წრეები ყოველივე ზომას მიმართავენ, რომ ჩაახშონ ჩინეთის განმანთავისუფლებელი მოძრაობა.

საბჭოთა კავშირი როგორც რევოლიუციონური ხელისუფლება თვალში ეჩხირება ინგლისის კონსერვატორებს. ეს რევოლიუციონური უზარმაზარი სახელმწიფო სრულიად უბიექტიურად, **იდეურათ და მორალურად** ანუგეშებს და ასულდგმულებს როგორც ევროპის რევოლიუციონურ გზაზე შემდგარ პროლეტარიატს, ისე აღმოსავლეთის ერების განმანთავისუფლებელ მოძრაობას. ინგლისის პროლეტარიატის რევოლიუციონურმა მოძრაობამ და იმავე ინგლისის კოლონიების გამოღვიძებამ ძლიერ შეაშფოთა კონსერვატორების „მყუდრო“ მართვა-გამგეობა. მათ ცხადად დაინახეს რევოლიუციის საშინელი აჩრდილი. ამან დაუფრთხო მათ სულიერი სიმშვიდე. ამიტომ არის, რომ ისინი ემუქრებიან საბჭოთა კავშირს, როგორც მსოფლიო რევოლიუციის კერას. ემუქრებიან დიპლომატიური კავშირის შეწყვეტით.

საბჭოთა კავშრი თავის საპასუხო ნოტაში სრულიად გარკვეულად ეუბნება ინგლისის მთავრობას: ჩვენ კავშირს სურს ინგლისის ხალხთან მეგობრული განწყობილება. ამ მიმართულებით მიმდინარეობს საბჭოთა კავშირის მთელი მუშაობა. მაგრამ თუ ბოლდუინის მთავრობა ამას ხელს შეუშლის. პასუხისმგებლობაც მან იკისროსო...

ქართული ემიგრაციის ლიდერები ახლა ვერ იქნებიან მანცა და მაინც კარგ გუნებაზე.ისინი სულ სხვას მოელოდენ. ისინი ზარბაზნების ქექა-ქუხილს წინასწარმეტყველობდენ. ინგლისი კი საბჭოებთან მხოლოდ კამათით კმაყოფილდება. მოდით და ამის შემდეგ ნუ გასკდება გულზე ნოე რამიშვილი!.. მაგრამ რა გაეწყობა: როდის იყო უკეთესი ემიგრაციის ბელადების ბედი?

ალ. ხელაძე.

# ზოგი რამ ჩვენი ახლო წარსულიდან

დღეს, როდესაც საბჭოთა საქართველოს არსებობის უკვე მეშვიდე წელში გადავედით, როდესაც ჩვენი ქვეყნის ეკონომიურ-კულტურული წინმსვლელობა დღითიდღე ვითარდება, როდესაც საქართველოს მშრომელი ხალხის აბსოლიუტური უმრავლესობისათვის საბჭოთა წყობილება გახდა ერთად-ერთი ფორმა, რომლის საშუალებით ის უსათუოდ მიაღწევს თავის საბოლოო მიზანს—სოციალიზმის გამარჯვებას, როდესაც ეროვნულ მშვიდობიანობას მტკიცე საფუძველი ჩაეყარა,—ზედმეტი არ იქნება მოვიგონოთ ზოგი რამ იმ დროიდან, როდესაც საქართველოს ბედს განაგებდა დამფუძნებელი კრება და მისი დემოკრატიული მთავრობა. ეს მით უფრო საჭიროა, რომ ზოგიერთ გულუბრყვილოს კიდევ ჰგონია, იმდროინდელი საქართველო დამოუკიდებელი იყო და, რაც უმთავრესია, მენშევიზმის მესვეურებიც სოციალიზმის საქმეს ემსახურებოდენ.

პირველ ყოვლისა შევეხოთ დამოუკიდებლობის გამოცხადების საკითხს

ჩვენს მაშინდელ მესვეურებს ხომ არ სურდათ დამოუკიდლობის გამოცხადება, ისინი ხომ ამიერ-კავკასიის დამოუკიდებლობის გამოცხადების წინა დღეებში საჯაროთ აცხადებდენ, რომ ამიერ-კავკასია რუსეთის იმპერიის გაუყოფელი ნაწილიაო, მაგრამ როდესაც მაშინდელმა სეიმის მთავრობამ მოინდომა ოსალეთთან ზავის შეკვრა, და ამ მიზნით გაგზავნა დელეგაცია ტრაპიზონში, ოსმალეთის დელეგაციამ მოსთხოვა მათ, თუ ვისი სახელით ელაპარაკებოდენ ისინი ამ დელეგაციას. და რომ სეიმის დელეგაციას მიეღო იურიდიული სახე, გამოცხადებულ იქნა ამიერ კავკასიის დამოუკიდებლობა.

მაგრამ მალე გამოირკვა სეიმის დელეგაციის ინტერესთა წინააღმდეგობა და მოლაპარაკებაც ჩაიშალა.

ამავე დროს ოსმალეთის მთავრობა თავის ნოტაში დაჟინებით მოითხოვდა საქართველოს დამოუკიდებლობის გამოცხადებას, წინააღმდეგ შემთხვევაში სრული დაპყრობით იმუქრებოდა. ეს იყო უმთავრესი საბაბი დამოუკიდებლობის გამოცხადებისა და არა ის, ვითომ მენშევიკური პარტია დამოუკიდებლობის ნიადაგზე იდგა.

ეს ხომ ისტორიულად ცნობილი ფაქტია.

ოსმალეთის გავლენის შესასუსტებლად მთავრობამ მიმართა გერმანიას.

მაშინდელი გერმანიის ინტერესები თხოულობდა ამიერ-კავკასიაზე გავლენის მოპოებას და ვილჰელმმაც „გაგვაბედნიერა“ ჩვენ თავისი ჯარების გამოგზავნით საქართველოში. ამ ჯარებს მეთაურობდა გენერალი ფონკრესი.

როგორი იყო მისი მოქმედება „დამოუკიდებელ“ საქართველოში?

ფონ-კრესს დახმარებისათვის მიმართა საქართველოს თავად-აზნაურობამ და სთხოვდა, რომ მათთვის მიწები არ ჩამოერთმიათ. ფონ-კრესმა ჩაერია საქართველოს შინაურ საქმეებში და მთავრობას მოსთხოვა მიწის რეფორმის გატარების შეჩერება. მაგრამ ეს კიდევ არაფერი. ზოგიერთ ბურჟუაზიულ წრეებში უკვე დაიწყეს ლაპარაკი საქართველოში გერმანიის ერთ-ერთი პრინცის გამეფების შესახებ და რომ ვილჰელმიც ტახტიდან არ გადმოებრძანებიათ, ეს შესაძლებელიც მომხდარიყო.

ვილჰელმის ჯარების წასვლის ცოტა ხნის შემდეგ საქართველოს სომხეთთან მოუხდა ომი, ეს ის დრო იყო, როდესაც ამიერ-კავკასიაში უნდა შემოსულიყო მოკავშირეთა ჯარები, რა თქმა უნდა ადგილობრივ მთავრობების დაუკითხავად.

ამიერ-კავკასიაში მოკავშირეთა და განსაკუთრებით ინგლისის ჯარების შემოსვლას დიდი სიხარულით მოელოდა სომხეთის დაშნაკური მთავრობა.

სომხეთის ბურჟუაზიამ ინგლისის ჯარების შემოსვლაში დაინახა თავიანთი დიდი ხნის სურვილის განხორციელების იდეა—დიდი ჰაიასტანის შექმნისა, რომლის საზღვრებში უნდა მოქცეულიყო ვანის და ერზერუმის ვილაეთები, რომელი იდეისთვისაც დაშნაკელების პარტიამ მსხვერპლად შესწირა ოსმალეთში მობინადრე თითქმის მთელი სომხური მოსახლეობა.

ამ გარემოებამ გამოიწვია ორ ისტორიულად მოძმე ერის, სომხებს და ქართველებს შორის სისხლის ღვრა.

რომ ეს პროვოკაცია ინგლისის იმპერიალისტების კარნახით იყო მოწყობილი, ეს შემდეგ საკმაოდ გამოირკვა, თუმცა თვალის ასახვევად, ინგლისის მთავრობამ ერთგვარ არბიტრის როლში მოგვევლინა და ომის შეჩერება მოითხოვა, რაც მალე იქნა სისრულეში მოყვანილი.

როგორი იყო ინგლისის იმპერიალისტების შემდეგი მოქმედება „დამოუკიდებელ“ საქართველოს მიმართ? უწევდა თუ არა რაიმე ანგარიშს ჟორდანიას ყოფილ მთავრობას ინგლისელი დიპლომატები?

როგორც ვიცით იმ დროს სოჩის ოლქში ბატონობდა დენიკინის შავი რეაქცია, რომელიც დღე-დღეზე ცდილობდა საქართველოს დაპყრობას. როდესაც მთავრობამ განიზრახა ამ საფრთხის თავიდან აცილება და შეუტია დენიკინელებს ტუაპსეს მიმართულებით, როდესაც ტუაპსე საქართველოს ჯარების მიერ აღებულ იქნა, ამ დროს ჩვენ დენიკინის წინააღმდეგ ომი შეგვაჩერებინეს და უკან გამოგვაბრუნეს. პირიქით იძულებული გაგვხადეს ბათომსა და თბილისში დენიკინელებს თავიანთი შტაბები მოეწყოთ და აქ მოხალისეები ეგროვებიათ დენიკინის დასახმარებლად, ბოლშევიკების წინააღმდეგ.

არის თუ არა ყველა ესენი სუვერენული და ისიც ნეიტრალური სახელმწიფოს უფლებების აბუჩად აგდება და ფეხქვეშ გათელვა? ამაში ალბად ჟორდანიას ყოფილი მთავრობაც დაგვეთანხმება.

ოსმალეთის ჯარებისათვის გზის მიცემა ბაქოს მუშებზე გასალაშქრებლად, ხომ ყოვლად ცინიკური დაცინვაა დამოუკიდებელი სახელმწიფოს არსებობის ისტორიაში. სწორედ ამ მოტივით გახდა იძულებული ბელგია მსოფლიო ომში ჩარეოდა, როდესაც მას ვილჰელმის მთავრობამ მოსთხოვა თავისი ჯარების გატარება საფრანგეთში გასალაშქრებლად.

როგორი იყო ჩვენი დიპლომატიური მდგომარეობა საზღვარგარეთ? რაზე ვამყარებდით იმედს დამოუკიდებლობის შენარჩუნებისათვის?

ერთად-ერთ იმედათ ჩვენ წარმოდგენილი გვყავდა იმ დროს ახლად ჩამოყალიბებული ერთა ლიგა. ჩვენ დარწმუნებული ვიყავით, რომ თუ ერთა ლიგაში წევრად მიგვიღებდენ, ამით უკვე ყველაფერი გათავებული იყო და საქართველოს თავზე ბუზის აფრენასაც ვერავინ გაუბედავდა. ჩვენი დიპლომატიის მთელი გულისყური, სწორედ აქეთკენ, იყო მიპყრობილი. განსვენებულ ჩხეიძის ორი [illegible]ივალი ევროპაში ყოფნა, აკაკი ჩხენკელის გასტროლები ბურჟუზიულ მთავრობებთან, ევგენი გეგეჭკორის დიპლომატიური დარბაზობა და ირაკლი წერეთლის გაგზავნა მეორე ინტერნაციონალის აღმასკომში ნიადაგის მოსამზადებლად—ყველა ესენი ემსახურებოდენ ერთდა იმავე მიზანს—როგორმე მოეხერხებიათ საქართველოს ერთა ლიგის წევრათ გახდომა.

როგორ უპასუხა ერთა ლიგამ ინგლისის დირიჟორობით ყველა ამ მუშაობას?

მან ჩვენს წარმომადგენლებს განუცხადა: დიდი სურვილი გვაქვს საქართველო გახდეს ერთა ლიგის წევრათ, მაგრამ თქვენ ჯერ არა ხართ ისე მომაგრებული, რომ საკუთარი ძალებით შესძლოთ თქვენი დამოუკიდებლობის დაცვა და ამიტომ არ შეგვიძლია მიგიღოთ ლიგის წევრათო. ასეთი იყო დაახლოებით იმ ორგანოს პასუხი, რომელზედაც ჩვენ დიდ იმედებს ვამყარებდით.

მხოლოდ ევროპის იმპერიალისტურმა მთავრობებმა ჩვენ სხვა რამით „გაგვაბედნიერეს“. მათ საქართველო „იცნეს“ იურიდიულად. თუ რა ფასი ქონდა ამ ცნობას, ეს ჩვენ შემდეგ მალე დავინახეთ.

მაგრამ ამ ხანათ ამის განხილვას თავი დავანებოდ და გადვიდეთ დამფუძნებელი კრების მუშაობაზე. ამ მუშაობის ჩვენ მხოლოდ ერთი მომენტი გვაინტერესებს, სახელდობრ ამ კრების მიერ საქართველოს კონსტიტუციის განხილვა და დამტკიცება.

საქმე იმაშია, რომ სოც.-დემ. პარტია, რომელსაც 130 დეპუტატიდან 105 დეპუტატი ყავდა დამფუძნებელ კრებაში, სიტყვით მაინც თავის-თავს სოციალისტურ პარტიას უწოდებდ. და ეს მაშინ საქართველოს მუშების უმრავლესობასაც სჯეროდა. აი, ამ პარტიის ხელმძღვანელობით მიხდა საქართველოს კონსტიტუციის დამტკიცება.

რა ეწერა ამ კონსტიტუციის უმთავრესს მუხლში? იქ სიტყვა-სიტყვით სწერია შემდეგი: საქართველოს რესპუბლიკის მუდმივი და უცვლელი ფორმა არის დემოკრატიული რესპუბლიკა.

ამ მუხლის მიღებამ დამფუძნებელ კრებაში დიდი კამათი გამოიწვია. ესერები მოითხოვდენ სიტყვა დემოკრატიულის ნაცვლად ყოფილიყო სოციალისტური. მენშევიკური ფრაქცია კი ამტკიცებდა, რომ დემოკრატიულ წყობილების დროს სრულიად შესაძლებელია სოციალიზმის განხორციელებაო.

თუმცა დემოკრატიული რესპუბლიკები ცოცხი სახით არსებობენ საფრანგეთში და შვეიცარიაში, მაგრამ იქაური მუშები არა ნაკლებ გმინავენ კაპიტალიზმის უღლის ქვეშ, ვინემ დანარჩენი ევროპის კონსტიტუციონალური მონარქიის წყობილებაში მყოფი მუშები. შვეიცარიაში და საფრანგეთში კი ჩვენ ჯერ არავითარი სოციალისტური აღმშენებლობა არ გვსმენია. ამაში ალბად თვით მენშევიზმის ბელადებიც იყვნენ დარწმუნებულნი, მაგრამ ისინი მუშების თვალის ასახვევად ამბობდენ, რომ დემოკრატიული წყობილების დროს შეიძლება სოციალიზმის განხორციელებაო. ამავე დროს ევროპის იმპერიალისტებისთვისაც უნდა დაემტკიცებიათ, რომ საქართველო ბურჟუაზიული რესპუბლიკააო.

ამ საკითხშიაც აშკარათ გამოსჭვივის, თუ რაოდენ ზეგავლენას განიცდიდა მენშევიკური ხელისუფლება ევროპის იმპერიალისტებისას შინაურ კანონმდებლობის დარგშიაც.

ასეთია ის ფაქტები, რომელსაც ადგილი ჰქონდა „დამოუკიდებელი“ საქართველოს და მენშევიზმის ბატონობის დროს საქართველოში.

შემდეგ წერილში ჩვენ შევეხებით გასაბჭოების შემდეგი პერიოდის ყოფილ მთავრობის საქმიანობას ევროპაში და კაპიტალისტური ევროპის მთავრობების დამოკიდებულებას საქართველოს დამოუკიდებლობის საკითხში.

**ხ. ელიაძე.**

# გარკვეული გზით

საბჭოთა კავშირის ეკონომიური მოღონიერება, სახელმწიფოს შიგნით მშვიდობიანობის განმტკიცება, მოსპობა ყოველგვარ შუღლის და მტრობის არამც თუ საბჭოთა რესპუბლიკაში შემავალ პატარა ერებთა შორის, არამედ, რაც უფრო საგულისხმოა, გულწრფელი ნდობის და სიყვარულის დამყარება ამ პატარა ერებთა და თვით რუსეთის მშრომელ მასის შორის, გულწრფელი ცდა საბჭოთა რუსეთისა დაამყაროს კეთილმეზობლური დამოკიდებულება და მშვიდობიანობა მახლობელ და შორეულ სახელმწიფოებთან,—ყოველი ეს გასაგებად ხდის იმ ნერვიულობას, რომელსაც ადგილი აქვს დღეს ზოგიერთ ბურჟუაზიულ სახელმწიფოებში: საბჭოთა კავშირის ეკონომიური და პოლიტიკური მოღონიერება ნერვებს უშლის ბურჟუაზიულ სახელმწიფოებს.

ბუნება საბჭოთა კავშირის ისეთია, რომ მას არ შეუძლია დახმარება არ გაუწიოს სხვა ქვეყნის მშრომელ მასას, მისი დანიშნულებაა შეაკავშიროს მთელი მსოფლიოს პროლეტარიატი მთელი ქვეყნის კაპიტალისტების წინააღმდეგ საბრძოლველად; მას არ შეუძლია სიმპატიით არ მოეპყრას იმ დაჩაგრულ ერებს, რომელნიც აწარმოებენ ბრძოლას მჩაგვრელი სახელმწიფოს წინაღმდეგ.

რომელ ბურჟუაზიულ სახელმწიფოს შეუძლია გულდამშვიდებით უყუროს ასეთი სახელმწიფოს ზრდას და დავაჟკაცებას? რომელი ბურჟუაზიული სახელმწიფო არ შეეცდება ხელი შეუშალოს ასეთი სახელმწიფოს მოღონიერებას, თუ კი პირობები მას ხელს შეუწყობს? ამ ორი სხვადასხვა ტიპის სახელმწიფოთა ინტერესები ისე ეწინააღმდეგებიან ერთი მეორეს, რომ მათ შორის ხანგრძლივი კავშირი თუ გინდაც ფორმალური,—შეუძლებელია. რა საერთო უნდა ჰქონდეს სახელმწიფოს დამყარებულს კაპიტალიზმზე სახელმწიფოსთან, რომლის შინაარსს სოციალიზმი შეადგენს? კაპიტალისტების მიზანია მუშათა ექსპლოატაციის საშუალებით ზედმეტი ღირებულების შექნა და მისი მისაკუთრება... პროლეტარიატი კი ცდილობს მისი შრომის ნაყოფი მასვე ეკუთვნოდეს... აბა მოდით და შეარიგეთ ეს ორი, ერთი მეორეს დაპირდაპირებული ინტერესი!.. აქ კონფლიქტი აუცილებელია. აქ მუდამ იქნება ბრძოლა. ამ ორი მოპირდაპირე ძალის დაახლოვება არაფერს არ შეუძლია, დროებითი კავშირი მათი კი იმდენად შესაძლებელია, რამდენად ასეთი კავშირი ხელს შეუწყობს თვითეულის საკუთარი ინტერესის დაცვას და განმტკიცებას. ბუნებრივი კავშირი კი მათი საერთო ინტერესების დაცვით გამოწვეული, წარმოუდგენელია.

აქედან გასაგებია იმპერიალისტური სახელმწიფოების მომზადება საბჭოთა რუსეთის წინააღმდეგ. აქედან გასაგებია ისიც, რომ ამ უკანასკნელს არ შეუძლია არ ემზადოს თავდაცვისათვის...

ასეთი მდგომარეობა უფრო ჩვენთვის, ქართველებისათვის, არის დამაფიქრებელი. ყველას ეგონა, რომ ჩვენი გზა უკვე გამორკვეული იყო; რამოდენიმე წელიწადი მოვანდომეთ ჩვენ ამ გზის გამორკვევას, ბევრი ტანჯვა გამოვიარეთ, დიდი დაბრკოლებანი დავსძლიეთ და ბოლოს შეგნებულად. არა შიშის ქვეშ, არამედ სინიდისის და სარგებლიანობის კარნახით, დავასკვენით: „გზა საერთოა საბჭოთა დიდი კავშირის მუშათა და გლეხებთან,—გზა სოციალიზმისაკენ, ამ გზით წასვლით ჩვენ ბევრს მოვიგებთ, წინააღმდეგ შემთხვევაში ყოველიფერს დავკარგავთ“.

ასე ვლაპარაკობდით, ასე ვეფიცებოდით ერთმანეთს და ხელისუფლებასაც... დღეს... დღეს ყველა შეგნებულ ქართველს,—ვინც გინდა იყოს იგი, გული უკვდება, როცა ის კითხულობს გაზეთებში, რომ ქართველი ემიგრანტების ბელადები ფიქრობენ და ყოვლის ღონით ცდილობენ, გამოიყენონ საბჭოთა ხელისუფლების წინააღმდეგ იმპერიალისტურ სახელმწიფოებთან მოსალოდნელი გართულება და ამ გართულებას დაუკავშირონ ქართველი ხალხის ბედი.

და მერე ვის ხარჯზე ფიქრობენ ამის მოწყობას? იციან თუ არა ამ ვაჟბატონებმა, რომ აგვისტოს ავანტიურით მიყენებული ტკივილები საქართველოს ჯერაც არ მოუშუშებია, რომ ამ ავანტიურით გამოწვეული უნდობლობის ორმო ჯერ კიდევ არ ამოვსებულა? ახალი ჭრილობა. გაორკეცებული უნდობლობა!

და მერე ვისთვის, ან რისთვის არის ეს საჭირო? ქართველი მუშა და გლეხისათვის?

ქართველი ხალხი არასოდეს არ მორიდებია მსხვერპლს, როდესაც ის დარწმუნებული იყო, რომ მის მიერ გაღებული მსხვერპლი ქვეყნისთვის უნაყოფოდ არ დაიკარგებოდა. არა ერთი და ორი ქართველი მუშა და გლეხი დაღუპულა ციმბირში; ათობით და ასობით ქართველს შეუწირავს თავის სიცოცხლე თვითმპყრობელობასთან ბრძოლაში. ის უშიშრად მიდიოდა სამსხვერპლოზე, რადგანაც მან იცოდა, რომ ებრძოდა თვითმპყრობელობას და ამით ემსახურებოდა ყველა დაჩაგრულთა საქმეს.

მაგრამ ვისთვის იყო სასარგებლო აგვისტოს ავანტიურა? ნუ თუ ჩვენ უნდა ვებრძოლოთ მუშურ-გლეხურ სახელმწიფოს, რომელსაც მიზნათ დაუსახავს ქვეყნად შრომის გაბატონება, დაჩაგრულ ერების განთავისუფლება და ქვეყნად მშვიდობიანობის დამყარება; ხელისუფლებას, რომელიც ებრძვის ბურჟუაზიულ სახელმწიფოებს, ისეთ სახელმწიფოებს, რომლებიც ხალხის დაჩაგვრაზედ და დამონებაზედ, მუშის ექსპლოატაციაზე ამყარებს თავის ბატონობას... მერე ჩვენ უნდა დავეხმაროთ ასეთ სახელმწიფოებს, ხელი უნდა შევუწყოთ მათ გამარჯვებას?

მერე რა სარგებლობას მოუტანდა ქართველ ერს იმპერიალისტური სახელმწიფოების გამარჯვება და საბჭოთა რესპუბლიკების დამარცხება?

ასეთ გამარჯვებას უსათუოდ მოჰყვებოდა კერძო საკუთრების აღდგენა მიწაზე, ფაბრიკა-ქარხნებზე და სხვებზე, ეკკლესიის განახლება, ბერებისა და ჩინოვნიკების ბატონობა და სხვა ბევრი რამ ისეთი, რომლის მოსასპობად ქართველ მუშა და გლეხს სხვებთან ერთად არა მცირედი სისხლი დაუღვრია. დავიჯეროთ, რომ ქართველი კაცი, მუშებსა და გლეხებზე ლაპარაკიც მეტია,—გვერდში ამოუდგება ბურჟუაზიულ სახელმწიფოს და ვერაგულად ლახვარს ჩასცემს საბჭოთა სახელმწიფოს, რომელიც მის საკუთარ სახელმწიფოს წარმოადგენს? განა დასაჯერებელია, რომ ქართველი ინტელიგენცია იმდენად გაირყვნა, ის ზნეობრივად იმდენად დაეცა, რომ ჩაიდენს უდიდეს ღალატს კაპიტალისტური ქვეყნების სასარგებლოდ? ეს დაუჯერებელია. ქართველ ინტელიგენციამ, განურჩევლად პარტიული მიმართულებისა, გულწრფელად დაგმო აგვისტოს ავანტიურა, ქართველი მუშებისა და გლეხების იმ ნაწილმა, რომელიც მენშევიკებს ემხრობოდა, შეიგნო თავის ინტერესები, მან აშკარად დაინახა, რომ მისი ინტერესი მჭიდროდ არის გადაჯაჭვული რუსეთის მუშათა და გლეხთა ინტერესებთან, ის უკვე ენერგიულად ჩაება საბჭოთა აღმშენებლობაში... და ამის შემდეგ პირდაპირ წარმოუდგენელია, რომ მან თავის სოციალისტურ სამშობლოს უღალატოს, თავისი საკუთარი ინტერესები უარყოს და იმპერიალისტურ სახელმწიფოების ინტერესებისთვის სისხლი დაღვაროს.

მაშ, ვისი იმედი აქვთ ამ ვაჟბატონებს? წარმოვიდგინოთ, რომ მოხდა უბედურება და დამარცხდა საბჭოთა ხელისუფლება. რომელი არის ის ძალა, რომელიც სათავეში მოექცევა ამ სახელმწიფოს? ყოველ შემთხვევაში არა სოციალისტები. საბჭოთა წესწყობილების დამარცხებას აუცილებლად თან მოჰყვება უსაშინელესი რეაქცია, რომელსაც სათავეში მოექცევა ნიკოლოზ ნიკოლოზის ძე და ან სხვა ვინმე მისთანები. მერე ამით საქართველო მოიგებს, მერე მაშინ საქართველო დამოუკიდებლობას მიიღებს?

არა თუ რომანოვები, თვით რუსეთის სოციალ-დემოკრატიული პარტიაც კი,—რომ სასწაული მოხდეს და ის მკვდრეთით აღსდგეს—არ იცნობს საქართველოს დამოუკიდებლობას. ეს უკვე გვაუწყა ჩვენ ამ პარტიის ყოფილმა ლიდერებმა აბრამოვიჩის პირით.

მაგრამ რას ვამბობთ? ჩვენ გულწრფელად ვიტყვით, რომ ვერ წარმოგვიდგენია საქართველოში ისეთი პოლიტიკურად მოაზროვნე ადამიანების ჯგუფი, რომელსაც არ შეეძლოს ამის გათვალისწინება, რომელიც შეურიგდება საბჭოთა კავშირის მოსპობას და მის ალაგას უსაშინელესი რეაქციის გამეფებას და საქართველოს დამოუკიდებლობის სრულიად დასამარებას.

ჩვენ გვწამს, რომ ევროპაში გახიზნული ავანტიურისტები ქართველი ხალხის ვერც ერთ ნაწილს ვერ ჩაითრევს ავანტიურის მორევში, ისინი ვერ შესძლებენ იმ ვექსილების განაღდებას, რომელიც მათ, თურმე მისცეს იმპერიალისტურ სახელმწიფოებს ქართველი ხალხის სახელით. მაგრამ აქ ერთი რამ არის ჩვენთვის უფრო საყურადღებო. ეს ავანტიურისტები თავისი ასეთი მოქმედებით სახელს უტეხენ ქართველ ხალხს, რომლის სახელითაც ისინი ევროპის ბურჟუაზიას ევაჭრებიან. ეს ავანტიურისტები ბადებენ უნდობლობას ქართველ ხალხსა და ხელისუფლების შორის. და მართლაც რა ნდობა უნდა ექნეს ხელისუფლებას, თუ ის არა იქნება დარწმუნებული, რომ ერთი ნაწილი ქართველი ინტელიგენციისა, თუნდაც ძალიან მცირე ისარგებლებს ხელისუფლების კრიტიკული მდგომარეობით და შეეცდება ლახვარი ჩასცეს მას?

აი ეს უნდობლობა უნდა გავაქარწყლოთ ჩვენ საქმით და არა მარტო სიტყვებით. ამისთვის ყველამ უნდა აიმაღლოს ხმა. ყველამ უნდა დაგმოს ავანტიურისტული ზრახვები ჩვენი ყოფილი ამხანაგებისა. აქ გაჩუმება—შეცოდებაა, აქ ორ სკამზე ჯდომა დაუშვებელია.

შუა ადგილას გაჩერება დაუშვებელია: ან იქით, თეთრგვარდიელებთან, ან აქეთ,—მუშებსა და გლეხებთან ერთად. ამას გვიკარნახებს შექმნილი მდგომარეობა.

მაშ წინ. გარკვეული გზით. წინ სოციალიზმისაკენ.

**აკაკი ფიჩხაია.**

# რას ვფიქრობდის

როდესაც დროებითი მთავრობის უხერხემლო კოალიცია დაეცა და ძალა-უფლება პეტროგრადის საბჭოებმა ჩაიგდო ხელში, მენშევიკურმა მსოფლმხედველობამ მომხდარი სოციალური აქტი არა დროულად მიიჩნია და ოქტომბრის რევოლიუცია ბოლშევიკურ, უდღეურ ექსპერიმენტად მონათლა.

ოქტომბრის აქტით ბოლშევიზმი გადაეშვა კომუნიზმისაკენ. ხოლო დემოკრატიული პრინციპებით მოაზროვნე მენშევიზმი გამოდიოდა—რა ცხოვრების „ობიექტიურ პირობებიდან“, გაემიჯნა მას ბრალდებებით: მარქსისტული შემეცნება გათელეს, უტოპიური მიზანი დაისახეს, ურა ბოლშევიკებს ტერორის საშუალებით სურს თავს მოახვიოს ქვეყანას ისეთი პოლიტიკური წყობილება, რომელიც ეწინააღმდეგება მცხოვრებთა უმრავლესობის ნებისყოფას, ქვეყნის ეკონომიურ და კულტურულ განვითარების საერთო პირობებს.

გამოვიდა რა ამ მოსაზრებიდან, მენშევიზიმი ფიქრობდა, რომ ოქტომბერი დიდხანს ვერ იბოგინებდა, რომ სულ ორი-სამი თვის განმავლობაში თვითვე, სრულიად უსისხლოდ, უმტკივნეულოდ დაეცემოდა და კვლავ აღსდგებოდა დემოკრატიული ფორმა მმართველობისა.

ასეთი დიაგნოზი არ გამართლდა. ოქტომბერი გამოდგა არა უდღეური, არამედ დროული, ნამდვილი კანონიერი მემკვიდრე თებერვლისა. პეტროგრადის პროლეტარიატის აღგზნებული რევოლიუციონური ნებისყოფა კარებში უცდიდა თებერვალს, რომელსაც ადრე თუ გვიან ადგილი უნდა დაეთმო ცხოვრების სინამდვილისათვის.

ოქტომბერზედ იერიშით მიმავალი კერენსკის კაზაკები კატასტროფიულად დაიმსხვრა პეტროგრადის კარებში აღმართულ ჯავშნიან ბარიკადებზე და ფიზიკურად განადგურდა.

პეტროგრადის რევოლიუციონური არმია ბრძოლით მოსკოვშიაც შედის და ამით საბჭოთა წყობილება ერთხელ და სამუდამოდ მკვიდრდება რუსეთში. მაგრამ ისტორიას უკანასკნელი სიტყვა ჯერ კიდევ არ ეთქვა. რევოლიუციას ყველგან და ყოველთვის თავის ბუნებრივ მსვლელობისა და გარდამავების პროცესში თან სდევს ბევრი საბედისწერო პირობებიც და ჩვენ ვხედავთ, რომ განახლებულ ცხოვრების წინაშე წამოიჭიმა, სულთმობრძავი, სასიკვდილოდ განწირული კონტრ-რევოლიუცია სამოქალაქო ომების სახით.

მეტად კრიტიკული, უთანასწორო იყო ეს ბრძოლები. საშიშარ მდგომარეობაში იყო ოქტომბრის ბედი. მაგრამ მიუხედავად მრავალგვარ დაბრკოლებათა, მიუხედავად უდიდეს ნივთიერ, ტეხნიკურ ნაკლულევანებათა, მუშების და გლეხების ძლევამოსილებამ, მათმა რევოლიუციონურმა ენერგიამ სამი წლის გაბმული ბრძოლით მოზღვავებული მტრები ერთიანად განადგურა და საბჭოთა ხელისუფლება განამტკიცა.

ყველას ეგონა, რომ 1921 წ. უჩვეულო მოუსავლობა რუსეთში, სადაც ხანგრძლივი სიმშილობის ნიადაგზე გამწარებული, ფსიქიურად შერყეული დედები შვილებსა სჭამდა, ხოლო შვილები დედებს,—დასცემდა საბჭოთა ძალა-უფლებას, მაგრამ სიმშილობის ამ ფრონტზედაც ჩვენ ვხედავდით მორიგ და ბრწყინვალე გამარჯვებას. რუსეთის მუშებმა და გლეხებმა ეს უდიდესი დაბრკოლებაც ჩინებულად გადალახეს.

1921 წელს მოხდა საქართველოს გასაბჭოებაც... უნდა ითქვას, ამას თხოულობდა ოქტომბრის რევოლიუციის სასიცოცხლო ინტერესები, ამასვე თხოულობდა ქართველი ხალხის ეროვნული, კულტურული და მისი ეკონომიურად განვითარების კეთილდღეობაც. მაგრამ წითელ ოქტომბრის შემოსვლას ჩვენ მაინც დაჭიმული ენერგიით წინაღუდექით. ჩვენც ვიბრძოდით „რევოლიუციის მონაპოვართა“ და „ეროვნულ დამოუკიდებლობის შესანარჩუნებლად“. სასტიკი დამარცხების შემდეგაც გულს არ ვიტეხდით და ეს დამარცხება ჩვენში არ იწვევდა სასოწარკვეთილებას, პირიქით, ჩვენ დიდი იმედი გვქონდა ერთი მხრით მეორე ინტერნაციონალისა, ხოლო მეორეს მხრით ცენტრალურ „კაცთმოყვარე“ ევროპის სახელმწიფოებისა, რომელთაც ჩვენი სახელმწიფოებრივი არსებობა დე-იურეთაც კი იცნეს, და ამით ვითომდა საერთაშორისო ოჯახის სრულუფლებიანი წევრი გავგხადეს. ბოძებული დე-იურე, მაკდონალდთან გაცვლილი ქართული პურმარილი და ნ. ჟორდანიას უკანასკნელი სიტყვა, რომ საქართველოს ტერიტორია ბოლშევიკების მესაფლავე გახდებოდა, ურყევი იმედი იყო ქართველი ხალხის ნერვიულ ფსიხიკისათვის, რომ კომუნისტები ახლო მომავალში დამარცხდებოდნენ...

დამარცხებული მენშევიზმი იარაღს არ ყრის. ბრძოლის იურიდიული ფრონტი საქართველოდან ევროპაში გადააქვს და ჟამსა გამოთხოვებისას თავის მრევლს შემდეგის სიტყვით მიმართავს: მთავრობის საქართველოში დარჩენა—ეს იქნებოდა საქართველოს საკითხის ერთხელ და სამუდამოთ დასამარება, როგორც შიგნით, ისე გარედ. ევროპის სახელმწიფოებრივ კულუარებში ჩვენი ბედი ჰპოულობს დიდ გამოძახილს და თანდათანობით პოპულიარული ხდება როგორც სოციალისტურ, ისე ბურჟუაზიულ წრეებში. ევროპის სოციალისტურ აზროვნებაში **საქართველო არის მეორე ბელგია** და მისი საკითხი თავის საკუთარ საკითხად აღიარებული. დახმარება უდაოა. საჭიროა მხოლოდ ქართველი ხალხის ამოქმედება, დაშლილ ორგანი-

ზაციების აღდგენა, შეურიგებლობის პოზიციაზე დგომა და ზოგიერთ შემთხვევებში შეტევაზედ გადასვლაც—კი. გახსოვდეთ, რომ ოდნავი ლოიალური განწყობილება ბოლშევიკებთან, ევროპაში გამოიწვევს საქართველოს საკითხის დასამარებასო.

ქართველი ხალხის ერთმა ნაწილმაც დაუჯერა თავის აღმზრდელ პარტიას. არალეგალურ ორგანიზაციებში დაირაზმა და ინსტრუქციის მიხედვით ხელისუფლებას საომარი მდგომარეობა შეუქმნა. გასაბჭოების პირველ ხანებში მაინც ისეთი მდგომარეობა შეიქნა, რომ ქართველ ინტელიგენციის ერთი ნაწილი ხელისუფლებასთან თანამშრომლობასაც—კი გაურბოდა.

ისინი ფიქრობდენ, რომ აჯანყებისა და განზე განდგომის პოლიტიკით დასცემდენ ხელისუფლების გავლენას. იმათ ეგონა, რომ რახან საბჭოთა რუსეთი ჯერ კიდევ არ იყო ცნობილი არც ერთ ცენტრალურ სახელმწიფოების მიერ. საკითხის გადაწყვეტამდის შესაძლებელი გახდებოდა რაიმე დიპლომატიური კომბინაციები, მიმართული ამიერ-კავკასიის და კერძოდ საქართველოს დემოკრატიული რესპუბლიკების რესტავრაციისაკენ, რადგან საქართველო ანტანტის მიერ დე-იურეთ იყო ცნობილი.

სჯეროდათ მეორე ინტერნაციონალისა და ერთა ლიგის უთუო დახმარებაც, მაგრამ სინამდვილეში ამ ორგანიზაციებსაც არავითარი რეალური და მორალური გავლენა არ აღმოაჩნდათ არც ერთ საჭირო შემთხვევებში.

ლოიდ-ჯორჯის დაცემის შემდეგ იმედი ქონდათ ინგლისის კონსერვატორულ მთავრობისა, რომლისგანაც გამოელოდენ ტრადიციულ, ანტი-რუსულ პოლიტიკის განახლებას კავკასია-სპარსეთ, თურქესტანით ახალი გზის გაკაფვას ინდოეთის მიმართულებით.

ასე გადიოდა წლები და ყველა ხედავდა თუ როგორ და თანდათანობით ჰქრებოდა ყველა ის ანტი-ბოლშევიკური კომბინაციები, რომლითაც შეიძლებოდა საქართველოში საბჭოთა ხელისუფლების დამხობა.

ხედავდა როგორ მტკიცდებოდა რუსეთის ეკონომიური და პოლიტიკური მდგომარეობა შიგნით და გარეთ, როგორ ეწყობოდა სავაჭრო ხელშეკრულებები მთელ რიგ გარეშე სახელმწიფოთა მიერ და როგორ იზრდებოდა მისი გავლენა თვით ევროპის დემოკრატიულ კლასებშიაც—კი.

ყველა ხედავდა ამას და გრძნობდა, რომ ყველაფერი ეს იყო მინუსი ყოფილ მთავრობის პოლიტიკის მომხრეებისთვის, ხოლო დიდი პლუსი ბოლშევიკებისათვის, რაც აშკარა გახდა გენუისა და სხვა სამშვიდობო კონფერენციებზე საქართველოს საკითხის სრული გაბათილებით.

გარეთ, ანტი-ბოლშევიკურ დიპლომატიაში დამარცხებული მთავრობა შიგნით იყურება და ქართველ ხალხს აჯანყების ინსტრუქციებს აძლევს: „დაჰკარით! ფაქტის წინაშე დამდგარი ევროპა მოგეშველებათო“. და ქართველი ხალხის უკმაყოფილო ნაწილმაც შეასრულა ეს მისთვის საბედისწერო ამოცანა, მაგრამ მას არ მიუღია არავითარი დახმარება არც ზღვიდან, არც ციდან, არც ხმელეთიდან...

ეს საკმაო გაკვეთილი უნდა იყოს ყველა იმათთვის, ვისაც ჯერ კიდევ არ დაუვიწყნია ილიუზიები საბჭოთა საქართველოს წინააღმდეგ გარეშე სახელმწიფოების დახმარებისა.

და თუ დღეს ჩვენში კიდევ არიან ასეთი გულუბრყვილონი, ჩვენი ვალია მათ ვუთხრათ: ხელი აიღე ძველი, ნაცადი ყოვლად უვარგისი და მავნებელ ექსპერიმენტებზე. მოასვენეთ ხალხი, მიეცით მას შესაძლებლობა მთელის თავისი ენერგიით მიიღოს მონაწილეობა თავისი ქვეყნის აღშენებლობის საქმეში. ნუ იმეორებთ დაშნაკცაკანების შეცდომებს და ნუ უმზადებთ ქართველ ხალხს განაწამებ სომხეთის ბედს. აი, ეს არის ჩვენი მიზანი, ეს არის ჩვენი წერისა და მოქმედების საგანი. ამას ვეუბნებით ჩვენ ყველას დღეს, ამასვე ვეუბნებოდით წარსულ წერილშიაც, („ახ. გზა“ № 2) სადაც ჩვენ მოვაგონებდით ქართველ ხალხს ოსმალეთის სომხეთის ბედს და არა იმას, როგორც ეს ბევრ ჩემ ნაცნობ-მეგობარს მოეჩვენა, ვითომ ჩვენ ვისმეს დედამიწის პირისაგან აღგვით ვექადებოდით.

ალისტრო ვადაჭკორია.

# ოქტომბრის ორიენტაცია

ისტორიაში ყველაზედ უფრო ტრაღიკული წვრილ ერთა ბედი არის. ეროვნული ჩაგვრა, როგორც ხალხის გულმომშხამველი მწვავე გრძნობა წარმოიშვა იქ, სადაც წვრილი ერის სუვერენული არსებობა ფეხქვეშ გასთელა მძლავრმა ერმა. ეროვნული წყლულის და ტკივილის გრძნობა წვრილ ერთა თანდაყოლილი თვისება არის. ამიტომ არის, რომ წვრილი ერები მუდამ მძლავრთა მფარველობას ეძებენ.

საქართველომ, როგორც პატარა ერმა, საკმაო სიმწვავით განიცადა ეს ტკივილები და თავის ისტორიულ წარსულში ორჯერ იცვალა პოლიტიკური ორიენტაცია. პოლიტიკურ ორიენტაციის პირველ გამოცვლას ადგილი ქონდა 1794 წელს რუსეთის იმპერიასთან შეერთების სახით, მხოლოდ ორიენტაციის ხელმეორე გამოცვლას ადგილი ქონდა 1921 წლის 25 თებერვალს, როდესაც მან პირი იბრუნა სოციალისტურ რუსეთისაკენ და მის სოციალურ მომავალს დაუკავშირა თავისი ბედი. თუმცაღა ორივე შემთხვევაში ორიენტაცია რუსეთის მხრით იყო მიმართული, მაგრამ ისტორიულად განსხვავებული ხასიათის იყო ის მოტივები, რომლებიც ამ ორიენტაციის ძიებას ედო საფუძვლად.

მე-18 საუკუნის მიწურულში საქართველო წარმოადგენდა გარეშე მტერთა თავდასხმებისგან ფრიად შევიწროებულ ერთეულს და მას აღმოსავლეთით სპარსეთი ემუქრებოდა განადგურებით. მისი გეოგრაფიულ-პოლიტიკური მდებარეობა გაუვალ ჩიხში აყენებდა ქართველი ხალხის ფიზიკურ თვითარსებობას. აქ არითმეტიკულად გადასწყდებოდა ამოცანა. რიცხვობრივად მცირე ქართველი ხალხი წინ ედგა რიცხვობრივად მრავალმოსახლე აღმოსავლეთის ხალხებს. გეოგრაფიულ მდებარეობის გამო მას არ შეეძლო ევროპის სახელმწიფოების მფარველობისათვის მიემართა და ერთად ერთი მოკავშირე „ერთმორწმუნე“ რუსეთში იპოვა. მას შეეძლო ოსმალთისათვის ეთხოვა მფარველობა, მაგრამ ამ ორიენტაციის არჩევას ერთის მხრით ხელს უშლიდა ის გარემოება, რომ ოსმალეთი თვით კარგი პოლიტიკური თვალით არ უყურებდა საქართველოს არსებობას და მეორეს მხრით ოსმალეთთან მეგობრული ურთიერთობის დამყარებას ხელს უშლიდა სარწმუნოებრივი სხვადასხვაობა. ამიტომ მეფე ერეკლემ რუსეთის ორიენტაცია ამჯობინა, რომელიც გეოგრაფიულადაც საქართველოს მოსაზღვრე იყო და პოლიტიკურადაც „სანდო სახელმწიფოს“ წარმოადგენდა, რამდენათაც ორივე მოკავშირე სახელმწიფო „ერთმორწმუნე“ ერთეულებს წარმოადგენდნენ. მაშასადამე პირველ რიგში ამ ორიენტაციის არჩევის დროს საქართველოს გეოგრაფიული მდებარეობა იდგა, მხოლოდ მეორე რიგში კი „სარწმუნოებრივი“ საკითხი. ჩვენ არ გამოუდგებით იმის მტკიცებას, რომ ამ ორენტაციამ ფიზიკურ განადგურებისაგან დაიხსნა ქართველი ხალხი და მოამზადა ნიადაგი, რომ თანამედროვე მშრომელი საქართველო უმაღლეს მატერიალ-სულიერ კულტურას ზიარებულიყო. აღსანიშნავია მხოლოდ ის ფაქტი, რომ 1918 წლიდგან, ვიდრე 1921 წლამდე საქართველო ხელოვნურად ჩამოშორდა განახლებულ რუსეთს და მოინდომა „ევროპის ორიენტაციით“ სიარული.

რას ნიშნავდა საქართველოსათვის „ევროპის ორიენტაცია“?

როგორც იმ დროს, ისე ეხლაც ევროპაში კაპიტალისტური წესწყობილება ბატონობს. კაპიტალისტური წეს-

წყობილება კი წარმოადგენს უდიდეს საზოგადოებრივ უკუღმართობას, რომლის წინაღმდეგ ბრძოლაში გამოიბრძმედა რევოლიუციონური მუშათა კლასი. კაპიტალისტურ წარმოების წესი—წარმოადგენს შრომისა და კაპიტალის ურთიერთის მიმართ სამკვდრო-სასიცოცხლო დაპირისპირებას. ფაბრიკა-ქახანაში საზოგადოებრივად (შრომის განაწილების მიხედვით) მოწყობილ შრომის პროდუქტს ისაკუთრებენ არა იმ შრომის გამტარებელი მუშები. არამედ ისაკუთრებენ კაპიტალისტები. ამ ურიცხვ მუშათა შრომის ნაყოფს ისაკუთრებს კერძო პირი და ეს იმიტომ, რომ მის ხელში არის საკუთრება საწარმოო იარაღებზედ. სახელმწიფოებრივი უფლებაც სწორედ იმის მხარეზედ არის, ვის ხელში არის კერძო საკუთრება საწარმოო იარაღებისა და ამიტომ საზოგადოებრივ წარმოებით შეკავშირებული მუშათა მასა ეკონომიურ-პოლიტიკურ უფლებას მოკლებულია. აქ არის შრომის ექსპლოატაცია და მშრომელთა ჩაგვრა; აქაური კულტურა მჩაგვრელთა კულტურა არის; აქაური „თავისუფლება“—საზოგადოების უდიდეს ნაწილის ჩაგვრას ნიშნავს და აქაური დემოკრატიაც ამ მშრომელი მასის ჩაგვრის იარაღს წარმოადგენს.

საერთოდ გაბატონებულ თვალსაზრისით, მეურნეობის ყოველი დარგი ქალაქურ მრეწველობაში გაბატონებულ წესებისაგან გამომდინარე ეკონომიურ-პოლიტიკურ ურთიერთობას უსწორდება და სწორედ ამიტომ წარმოების კაპიტალისტური წესი, რომელიც ევროპის ქალაქურ მრეწველობაში არის გაბატონებული, ამასთანავე გაბატონებულია სამეურნეო საქმიანობის ყოველ დარგში. ქალაქში უმაღლეს საფეხურამდე განვითარებულმა კაპიტალისტურმა წარმოებამ, შექმნა თანამედროვე ევროპა, როგორც კიდით-კიდემდე სოციალურ უკუღმართობის და მშრომელთა ჩაგვრის აკვანი.

ორიენტაცია ამ „კულტურულ ევროპაზედ“ წარმოადგენდა ისეთ ორიენტაციას, რომელსაც ისტორიულად არავითარი ახალი პერსპექტივა არ მოქონდა ქართველი ხალხისათვის. კაპიტალიზმის შინა ბუნების ლოღიკით ის, როგორც პატარა ერი ეკონომიურად საჯიჯგნელ და პოლიტიკურად სამოწყალო გეოგრაფიულ ერთეულად გაუაიქცეოდა. ამიტომ ევროპის ორიენტაცია ისტორიულად ვერ იყო ხელსაყრელი საქართველოსათვის.

სულ სხვა იყო ორიენტაცია რუსეთისაკენ. ოქტომბრის რევოლიუციამ არსებითად შეუცვალა სახე ეკონომიურ ცხოვრებას. სახელმწიფოს სათავეში მდგომმა მუშათა კლასმა ნაციონალიზაცია უყო საწარმოო იარაღებს და მით გადააქცია საწარმოო საშუალებანი სახელმწიფოებრივად გაბატონებულ მშრომელთა განუყოფელ საკუთრებათ. საბჭოთა ფაბრიკა-ქარხანაში კი ამით მოისპო შრომისა და კაპიტალის შორის ისტორიული დაპირისპირება. აქაური საზოგადოებრივად მოწყობილი შრომა, საკუთარი—ნაციონალიზაცია ქმნილი იარაღებით აწარმოებს და თვითვე ისაკუთრებს შრომის ნაყოფს, როგორც წარმოების კოლექტიური პატრონი. აქ ერთმანეთისაგან განუყოფელი არის შრომა და შრომის იარაღი. სახელმწიფოებრივად გაბატონებული შრომა აწარმოებს საზოგადოებრივ საკუთრებათ ქცეულ საწარმოო იარაღებით და მით შრომას ემორჩილება ის, რასაც მკვდარი კაპიტალი ქვია. მაშასადამე აქ შრომა ბატონობს კაპიტალზედ. ეს არის წარმოების ის სოციალისტური წესი, რომლისთვისაც გამუდმებით იბრძოდა რევოლიუციონური მუშათა კლასი. საბჭოთა კავშირის წარმოებაში წარმოების ეს გაბატონებული წესი ერთად ერთი არის. მას აქ მეტოქე არ ყავს და წარმოადგენს კაპიტალისტურ წარმოების წესის მემკვიდრეს. წარმოების ამ გაბატონებულ წესს უთანასწორდება სახალხო მეურნეობის ყოველი დარგი და მიექანება ისეთ მდგომარეობისაკენ, როდესაც ქალაქათ უაღრესად განვითარებული სოციალისტურ წარმოების წესი გადაიქცევა მთელ სახალხო მეურნეობაში წარმოების გაბატონებულ წესათ. გამოსავალი წერტილი სოციალისტურ საზოგადოებრიობის შექმნისათვის უკვე საფუძველ ჩაყრილი არის და მით საბჭოთა სახალხო მეურნეობა ისტორიაში ახალ სოციალურ ეპოქის ნაკადს წარმოადგენს. მაშასადამე ის გენერალური ხაზი, რომელიც საბჭოთა სახალხო მეურნეობის საფუძველს წარმოადგენს, სოციალიზმის მშენებლობის ძირითადი საშუალებაა. ეს უკვე ისტორიაში ახალი ეტაპის დასაწყისია და მარქს-ენგელსის ისტორიულ იდეალების განხორციელება არის.

როგორც ვხედავთ, საბჭოთა კავშირის წიაღში გაჩაღდა ის სიტორია, რომელიც ყოველგვარ ჩაგრულთა განთავისუფლების გარანტია არის. ეს იმის განხორციელებაა, რასაც ელტვის კულტურულ კაცობრიობის მოწინავე რაზმი პროლეტარიატი და საერთოდ მშრომელი მასა, ყოველი მაშვრალი და დაჩაგრული.

თავისუფალმა საქართველომ თვალი გაუსწორა ამ ახალ სინამდვილეს და მის ორიენტაცია აირჩია. მან პირი იბრუნა რუსეთისაკენ იმიტომ, რომ აქ იწყება ის ახალი ისტორია, რომელსაც სხვა ყოველგვარ ჩაგვრის მოსპობასთან ერთად მოაქვს ერთა დაბეჩავების მოსპობა და ზურგი შეაქცია ევროპის ორიენტაციას იმიტომ, რომ იქ კიდევ ძველი ისტორია ბოგინობს, აღსავსე უკუღმართ სოციალურ წესებით.

მშრომელმა საქართველომ 40 წლის ბრძოლის პროცესში შეითვისა ახალი „სარწმუნოება“,—სოციალისტური იდეალები და ის ამ იდეალებისათვის თავდავიწყებით ებრძოდა ყოველგვარ უკუღმართობას.

და თუ მე-18 საუკუნის მიწურულში საქართველომ თავისი ბედი დაუკავშირა იმ „ერთმორწმუნე“ რუსეთს, რომელიც მისი ღრმა რწმენით საქართველოს ისტორიას გამოიყვანდა გეოგრაფიულად დახურულ ჩიხიდგან, დღეს მშრომელმა საქართველომ სრულიად ბუნებრივად დაუკავშირა თავისი ისტორიული ბედი. სოციალისტურ საბჭოთა კავშირში შემავალ რუსეთს, რომელშიდაც კაცობრიობისათვის ახალი ისტორია იქედება.

ისტორიულ თვალსაზრისით, რუსეთისაკენ მიმართული მეორეჯერ არჩეული ორიენტაცია თავისი პერსპექტივებით ათწილად გრანდიოზულია, ვინემ ის ორიენტაცია, რომელიც 130 წლის წინეთ აიღო ქართველმა ხალხმა „ერთმორწმუნე“ რუსეთის მიმართ. რუსეთის და საქართველოს მშრომელი მასების თავისუფალი გაერთიანება—საწინდარი არის იმისა. რომ საქართველო არა თუ წაიშლება ისტორიის ფურცლიდგან, არამედ ისტორიაში არნახულ განვითარების გზით გაემართება თავის მომავლისაკენ. ამის ნიშანი უკვე არის.

1804 წლის 2—3 იანვარს რუს-ქართველთა შეერთებულმა ძალებმა გაანადგურეს განჯის ციხესიმაგრე, საიდანაც სპარსელები თავს ესხმოდენ და მუსრს ავლებდნენ ქართველებს. რუსმა ჯარისკაცმა ამით თავისუფლება მოუტანა მრავალჯერ აწიოკებულ საქართველოს მშრომელთ. საქართველოს ეს განთავისუფლების დღე რუსის ჯარისკაცებმა საუკუნე ძეგლით აღნიშნეს—ააშენეს სიონის ტაძრის სამრეკლო. ეს სამრეკლო—რუსეთ-საქართველოს მთლიანობის სიმბოლო არის ისტორიულ წარსულისათვის.

1921 წლის 25 თებერვალს საქართველო განთავისუფლდა მენშევიზმის უშნო, უხერხემლო და უილაჯო ბატონობისაგან. რუსი და ქართველი მშრომელი კვლავ პირისპირ შეხვდნენ ერთმანეთს, როგორც განთავისუფლებული მონები. ნიშნათ ამ განთავისუფლებისა და ისტორიულად ისევ შეკავშირებისა მათ საერთო ძალღონით აქაც შექმნეს საუკუნო ძეგლი. ეს ძეგლია—ზაჰესი და როდესაც მშრომელი საქართველო ზაჰესზედ ყურობს, მას ესმის ერთის მხრით ახალი ისტორიის მტკიცე ნაბიჯები და გრძნობს მეორეს მხრით იმ ორიენტაციის შენარჩუნების აუცილებლობას, რომელიც საბჭოთა კავშირის სინამდვილეში გამოიქედა მშრომელ საქართველოს „საქებრად და სადიდებლად“.

ზ. ჩახვაძე.

# 8 მარტი

## ქალთა დღესასწაული

რა კარგია, რა დიადი,
ეს ფრიადი დილა;
ხალხთა ზვირთი ადის—დადის,—
ქუჩებიც გაზრდილა.
ცაც ისეა პირ-მცინარი,
ისე მოწმენდილა,
რომ მზის ალმით მთა და ბარი
წითლად შეღებილა.
შეხეთ, შეხეთ, ქალთა გუნდი
ყაყაჩოდ გაშლილა,
წითელ მდინარედ ქცეულა,
მოდის ზვირთ-აყრილად,
ძველ მსოფლიოს ემუქრება:
წაგლეკავო, ფრთხილად!
წითელ-წითელი დროშები
ტყესავით გაშლილა,
მუშა-ქალების ლაშქარი
მოდის რაზმ-წყობილად.
მოდის, ქუჩებს ახალისებს
ჯანსაღი სიცილით,
ქალაქსა სძრავს, აზანზარებს
ხმა—მკვეთრ მოძახილით:
დებო, ჩვენთვისაც გათენდა
სანატრელი დილა,
მონა-ქალთა ბორკილები
ბრძოლით დალეწილა.
ამ ბრძოლაში ჩვენი სისხლიც
მრავალჯერ დაღვრილა,
ჩვენს რიგებში გმირი-ქალი
ბევრი გამოზრდილა,
მათი ხელით ბრძოლის დროშა
ამაყად აწვდილა,
ქუჩის ბარიკადებზედაც
ბევრჯერ დაიცხრილა,
მაგრამ მედროშე ქალების
წარბიც არ შეხრილა!
დღეს კი, როცა გამარჯვება
მშრომელ ხალხს ხვდა წილად,—
ძმათა სისხლში დების სისხლიც
ურევია წვლილად,
თანასწორობის ალმებიც,
მზეზე რომ გაშლილა,
თვისკენ მისთვის მოგვიწოდებს:
წინ, ძლევამოსილათ!
მაშ, გავწიოთ მომავლისკენ
მტკიცედ, მხნეთ და მედგრად,
მშრომელ ქალთა შესაერთად,
მტრიბზე ასამხედრად!

გ. ქუჩიშვილი

# სატრფოს კარავი

.....და სიყვარულის ნაზის გრძნობით შევქმენ კარავი,
ვერ მაშინებდა ჯოჯოხეთის ნაღველ-სამსალა,
შიგ მოვათავსე სატრფო ჩემი, მტრის შემზარავი,
მას მივუმსხვერპლე სიჭაბუკის ღონე და ძალა.
უკვდავის ხელით შემოვავლე ზღუდე ძლიერი,
მარად მის ირგვლივ დავფრინავდი ალტაცებული,
დღეს ვინ გაბედავს მიაკაროს მას ბილწი ხელი
და შემიბღალოს სატრფო ჩემი, ცით ბოძებული,
მტრის ბოროტ კლანჭებს დიდის ტანჯვით რომ გამოვტაცე,
ობლათ რომ ვიდექ ყოფნის წმიდა სადარაჯოზე,
ვერ მაცდუნებდა ფუფუნება, ლხენა, სიმდიდრე,
ოცნებით მთვრალი ვიწვებოდი ტრფობის კოცონზე.
დღეს ვის დავუთმობ მის საზღაპრო მშვენიერებას,
ვის დავანებებ ჩემი სიყრმის სათაყვანებელს,
უკვე შეეწირთო სული ჩემი მის სურვილ-ნებას,
მასვე ვუმღერი ძველ სიმღერას, ძველ საგალობელს!

1927 წ. 19 თებერვალი. განდეგილი.

# ღრუბელი

ღრუბელო ნუ მოიწევი,
არ გადეფარო ჩემს მზესა,
თორემ მომივა გული და
გაგანადგურებ ერთ დღესა.
მზე სხივებს სტყორცნის ჩემს მხარეს,
რომ გამინათოს გზაი მე,
ის უანგარო ვინმეა,
იმისი სულის ჭირიმე.
შენ კი მას წინ ეღობები,
უკუ აქციო—გინდა ის,
გამოტყდი ვისი ჯავრი გჭირს
ჩემი თუ ჩემი სატრფო მზის?
ნუ თუ არ იცი სიბნელეს,
რომ ვერ იტურფებს ეს მხარე?
ღამეც დღეთ უნდა აქციოს,
ამისათვის ჰყავს მას მთვარე.
ვინც სინათლესა გზას უხშობს,
ის ორთავესი მტერია—
მზისთვის სახელის გამტეხი,
ხალხისთვის მავნებელია.
მოშორდი, სხივებს გზა მიეც
ქვეყნისა გასახარელად,
სიკვდილის დასამხობად და
სიცოცხლის ასაყვავებლად.
აღმოსავლეთით აღმოხდეს
ქარი შენს გასაქარადა,
გაგაქროს, ჭირისუფალმაც
ვერ გპოვოს მთად ვერც ბარადა.
მაშ, გაეცალე ღრუბელო,
ნუ ეფარები ჩემს მზესა,
თორემ მომივა გული და
გაგანადგურებ ერთ დღესა.

მ. ჯიბლაძე.

# 8 მარტი

## (ქალთა საერთაშორისო დღის აღსანიშნავად)

1910 წელს, კოპენგაგენში, ქალთა საერთაშორისო მეორე სოციალისტურ კონფერენციაზე, კლარა ცეტკინის ინიციატივით დადგენილ იქნა 8 მარტის ქალთა დღეთ გამოცხადება.

მას შემდეგ, ევროპის თითქმის ყველა სამრეწველო ცენტრებში, იმართება ქალთა დღესასწაული. ამ დღეს მშრომელი ქალები გამოდიან ქუჩებზე მწყობრად, ორგანიზაციულად დარაზმულნი წითელ დროშებით და აყენებენ სხვადასხვაგვარ პროლეტარულ მოთხოვნილებებს. ასე იყო დასავლეთ ევროპაში, ასე იყო რუსეთში 1914 წლამდე. მსოფლიო იმპერიალისტურმა ომმა ლახვარი ჩასცა საერთაშორისო მუშათა მოძრაობას. 8 მარტიც მივიწყებულ იქნა. ომის დასრულებით—კვლავ იწყება ქალთა საერთაშორისო წითელი ზეიმი. აღსანიშნავია, სხვათა შორის, რომ 8 მარტი იწყებს 17 წლის რუსეთის დიდ რევოლიუციას. ამ ისტორიულ დღეს, გამოდიან ლენინგრადის ქუჩებზე გაძვალტყავებულნი, დამშეულნი, მშრომელი ქალები და მოითხოვენ პურს, მშვიდობიანობას. ბურჟუაზია მათ აწვდის ცხელ ტყვიებს. ქალების სისხლით იღებება ლენინგრადის ქუჩები, მაგრამ ჩვენ ვიცით, თუ რა ძვირად დაუჯდა ბურჟუაზიას ეს ვერაგობა. ქალის ყიჟინა შეიქნა დასაწყისად ბურჟუაზიის აღსასრულისა.

8 მარტი, თავის შინაარსით, წააგავს პროლეტარიატის საერთაშორისო დღესასწაულს 1 მაისს. 1 მაისი არის პროლეტარიატის საერთო ძალთა დემონსტრაცია, ხოლო 8 მარტი მშრომელ ქალთა ძალების დემონსტრაცია.

8 მარტით მშრომელი ქალი თავზარს სცემს კაპიტალისტს. 8 მარტი კაპიტალიზმს აცლის იმ ძალასაც, რომელზედაც იგი გაჭირვების დროს ეყრდნობოდა, როგორც საექსპლოატაციო ობიექტს. ეს იყო ქალის მრეწველობაში ჩაბმის პირველ ხანებში. ვის არ ახსოვს ამ დროინდელი ქალის მშრომელთა ინტერესების წინააღმდეგ მიმართული გამოსვლები, ხშირი მოვლენა იყო ქალი, რომელიც გამოდიოდა შტრეიკბრეხერის როლში, რითაც ხელს უშლიდა შრომის საბოლოო გამარჯვების საქმეს. ისტორიაში აუარებელია ამის მაგალითები. ქალი შეუგნებელი, თანხმდება მცირე ხელფასზე, რითაც აძლიერებს მუშა-მამაკაცებში უმუშევრობას. ყველაფერი კი ეს ზიანს აყენებს მუშათა მოძრაობას და იწვევს აღშფოთებას მუშათა რიგებში. მუშათა ერთი ნაწილი ამიტომ ილაშქრებს კიდეც ქალის შრომის წინააღმდეგ და მოითხოვს მისი უკანვე ოჯახში დაბრუნებას. ისტორიას ახსოვს ანალოგიური შემთხვევა; ინგლისელ მუშებმა მანქანა დალეწეს; ეგონათ, რომ ეს იყო მიზეზი მათი უბედურების. მარქსი წინ აღუდგა მუშათა ამ ნაწილის ასეთს მოთხოვნას და განაცხადა, რომ ბრძოლა ქალის შრომის წინააღმდეგ არამც თუ უნაყოფოა, რეაქციონურიცაა; ქალის შრომა პროგრესიული მოვლენაა და მის განვითარებას ხელიც უნდა შეუწყოთ; შრომა ქალს აჩვევს დამოუკიდებელ ცხოვრებას, ათვითცნობიერებს მას, განაგრძობდა მარქსი, და ყოველივე ეს საჭიროა საერთო პროლეტარულ ფრონტის გასამაგრებლათო.

ასრულდა დიდი მასწავლებლის სიტყვები. დამტკიცდა, რომ **შრომა არის ქალის უდიდესი ემანსიპატორი**, როგორც ამას სამართლიანად შენიშნავს ლილი ბრაუნი. არ გასულა დიდი ხანი მას შემდეგ, რაც ქალი მოშორდა ოჯახის წვრიმან საქმიანობას და ფართე ასპარეზზე გამოვიდა მამაკაცთან ერთად ხელი - ხელ ჩაკიდებული.

1-ლ ინტერნაციონალს დიდი ღვაწლი მიუძღვის ქალთა გათვითცნობიერების საქმეში. გერმანიამ, წამოაყენა პრინციპი ქალთა შორის სპეციალურ მუშაობის წარმოებისა. ბებელმა—თავის მონუმენტალურ შრომით „დედაკაცი და სოციალიზმი“-თ, ხოლო კ. ცეტკინამ თავის დაუღალავ თეორეტიულ და პრაქტიკულ მოღვაწეობით დიდათ ხელი შეუწყვეს ქალთა სოციალისტ. მოძრაობის განვითარებას.

ქალთა შორის სპეციალური მუშაობა (მუშა - ქალთა ორგანიზაციები) არ ნიშნავს ცხადია მუშათა საერთო ფრონტის დარღვევას, როგორც ეს წარმოუდგენია ცრუ-სოციალისტებს. პირიქით, ქალთა ორგანიზაციები, აძლევს-რა საშუალებას ქალს, მხდალი ფსიქოლოგიის პატრონს—თავისივე წრეში უფრო ადვილათ შეიძინოს ყველა საჭირო ცოდნა - მომზადება და უთანასწორებს-რა ამნაირად მასზე უფრო მომზადებულ მუშა - მამა-კაცს, ხელს უწყობს პროლეტარიატის რიგების შემჭიდროებას და განმტკიცებას. 8 მარტიც ამ ორგანიზაციების მუშაობის შედეგების გამომზეურებაა.

როგორც ზემოთ ვსთქვით, ამჟამად 8 მარტს დღესასწაულობენ მსოფლიო მასშტაბით, საჭიროა დავსძინოთ აქვე, რომ საბჭოთა კავშირის 8 მარტი თავის შინაარსით განსხვავდება სხვა ქვეყნების 8 მარტისაგან. იმ დროს, როდესაც სხვაგან, 8 მარტის ლოზუნგები იგივე დარჩა, როგორიც იყო ომამდე (საარჩევნო უფლება, 8 საათის სამუშაო დრო და სხვადასხვა), საბჭოთა კავშირის ქალთა დღის ლოზუნგები წმინდა პრაქტიკული ხასიათის მატარებელია. ქალი აქ სავსებით გათანასწორებულია უფლებებში მამაკაცთან; როგორც სამუშაო ძალა, იგი დაცულია ხელისუფლების მიერ. ასე რომ მას ბრძოლა ამ მხრივ არ სჭირდება. საბჭოთა კავშირის ქალი 8 მარტს აყენებს დაახლოვებით შემდეგნაირ ლოზუნგებს: მუშა და გლეხ ქალის თვითმოქმედება, აქტიური მონაწილეობა საბჭოთა რესპუბლიკების აღორძინების საქმეში, კვალიფიკაციის აწევა მუშა-ქალებში და სხვა. ერთი სიტყვით საბჭოთა კავშირში, 8 მარტის ლოზუნგები შეეხება იმას, თუ როგორ გამოიყენოს ფაქტიურად და გაატაროს ცხოვრებაში ქალმა მუშათა კლასის მიერ მოპოებული უფლებები.

ამიტომ 8 მარტს, საბჭოთა კავშირის ქალი, მოუწოდებს თავის საზღვარ-გარეთელ დებსაც მისებრ სულისშემხუთველ კაპიტალიზმის დამხობისაკენ. კაპიტალიზმი ყველაზე მძიმედ აწვება ქალებს, თავის არსებობისათვის აუცილებელ ატრიბუტებით (ვაჭრული ქორწინება, პროსტიტუცია), მოუწოდებს აგრეთვე ახალი ქვეყნის გამოჭედვისაკენ, სადაც კლასთა წინააღმდეგობასაც ადგილი არ ექნება და იმეფებს სქესთა სრული თანასწორობაც.

ალექსანდრა ღლონტი.

# თეატრი სოფლად

ვინ არ იცის, რომ ჩვენი რესპუბლიკის ქვაკუთხედი სოფელი და მისი მოსახლეობა—გლეხობაა; ჩვენი გლეხის გამძლე ხერხემალზეა უმეტესად დამყარებული ჩვენი რესპუბლიკის სიმძიმე, ამისათვის ჩვენი ყურადღების ცენტრად ყოველთვის და ყოველ დარგში სოფელი, პროვინცია და მისი მოსახლეობა—გლეხობა უნდა იყოს; მაგრამ, სამწუხაროდ, ხელოვნების დარგში ძალიან ცოტა ყურადღება აქვს მიპყრობილი სოფელს; იცვლება ცენტრში სახელოვნო ორგანოები, მათი სტრუქტურა და ხელმძღვანელები, ხელოვნების საქმე კი პროვინციაში უცვლელად რჩება, ერთ წერტილზე გაყინული, თითქმის ისეთივე უნუგეშო მდგომარეობაშია პროვინციაში ხელოვნების საქმე, რომელშიაც ის იმყოფებოდა ამ რამოდენიმე წლის წინათ.

სოფლად ჩვენ ვებრძვით და ვსპობთ სარწმუნოებრივ კულტზე დამყარებულ გლეხის გასართობებს: დღეობებს, „თემობას“, ქელეხს, „სატირალს“ და სხვას, მაგრამ ამავე დროს არ ვცდილობთ მივცეთ სოფელს სამაგიეროდ სხვა გასართობი, უფრო კულტურული, რომელიც არც ხარჯს მოითხოვს მათგან და მათი გათვითცნობიერების საქმესაც წინ წასწევს.

სოფლის სახელოვნო მოთხოვნილება არ არის დიდი; ის არ მოითხოვს ოპერას, მუსიკას და სალამო-ბალებს; ის ჯერ-ჯერობით თეატრით, წარმოდგენითაც დაკმაყოფილდება; თვეში რომ ერთხელ მოეწყოს წარმოდგენა სოფლად, ესეც დიდი მიღწევა იქნება, მაგრამ თვეში ერთხელ კი არა, წელიწადში ერთხელაც არ იმართება წარმოდგენა ზოგიერთ სოფელში. ზოგან სათეატრო საქმის ჩანასახიც არ არის; სადაც არის, იქაც მახინჯათ მიმდინარეობს სათეატრო საქმე სათანადო კონტროლისა და ხელმძღვანელ ხელის უქონლობის გამო. მოთხოვნილება ნამდვილი თეატრის, სადი წარმოდგენის, რომელიც გლეხის ბუნებას და მის სულიერ საზრდოს შეეფერება, ძალიან დიდია სოფლად; წავიდა ის დრო, როცა გლეხებს თეატრი „თვალთმაქცობათ“ და „ფულის მახეთ“ მიაჩნდათ; დღეს სათეატრო წყურვილი გლეხებში დიდია, საჭიროა მხოლოდ მისი მოხერხებულად და მიზანშეწონილად დაკმაყოფილება; ნათქვამს ადასტურებს თუ გინდა ის ფაქტიც, რომ ზოგან გლეხები, განსაკუთრებით, დასავლეთ საქართველოს ზოგ სოფლებში თავის ხარჯით და ინიციატივით აშენებენ სათეატრო დარბაზებს; მაგრამ ეს არ კმარა, ამ საქმეს უსათუოდ უნდა უხელმძღვანელოს სახელმწიფო ორგანომ, ხელოვნების განყოფილებამ; მარტო თბილისმა არ უნდა ჩაყლაპოს ხელოვნების დარგში ჩვენი ყურადღება და თანხები; თუ თბილისის ოპერის ან დრამის თეატრზე ათი ათასობით იხარჯება წლიურად, თუ აქ თვითეული ახალი დადგმა ათასობით ჯდება, სოფელი ჩვენი რესპუბლიკის რა უკანონო შვილია, რომ მისთვის ათეული მანეთებიც კი გვეზარება?.. თბილისის საოპერო „პუბლიკისათვის“ მეტს უნდა ვზრუნავდეთ, თუ ჩვენი გლეხების გათვითცნობიერების და კულტურულად აღორძინებისათვის? ჩვენ გვგონია, აქ ორგვარი პასუხი შეუძლებელია.

ხელოვნების განყოფილებამ თავის დაკვრითი ამოცანათ უნდა გამოაცხადოს პროვინციაში სათეატრო საქმის მკვიდრ ნიადაგზე დაყენება. არც ერთი მიყრუებული სოფელი არ უნდა დასტოვოს უყურადღებოდ.

ამ საქმის მოგვარება არც ისე ძნელია, საჭიროა: 1) პატარა სათეატრო შენობა, ქოხ-თეატრი ოთხი კედლით, ჭერით და იატაკით დაცული სიცივისა და წვიმისაგან, 4—5-ფიცრიანი სცენა, უბრალო ფარდის; 2) სათეატრო მუშაკების მუდმივი კადრის შექმნა და 3) საერთო ხელმძღვანელობა. რაც შეეხება პირველს—სათეატრო შენობას, არ დაჯდება ძვირი: რადგანაც მასალას თვითონ გლეხები მოზიდავენ და მუშაობასაც არ დაიზარებენ; რაც შეეხება სცენის მუშაკთ,ეს შეიძლება ჯერ-ჯერობით ადგილობრივი ძალებიდან: მასწავლებლებიდან, მოწაფეებიდან და სხვ., შევადგინოთ ერთი პროფესიონალური სცენის მოყვარის ხელმძღვანელობით; რაც შე-

ხებ: საერთო ხელმძღვანელობას, ამისათვის კი საჭირო იქნება, პირველ ხანებში მაინც, სათეატრო საქმის ინსტრუქტორები, რომლის მოწესრიგება: წარმოდგენების საერთო ხელმძღვანელობა, რეპერტუარის შემუშავება ადგილობრივი გლეხობის კულტურული დონისა და მოთხოვნილების მიხედვით, ძალების შერჩევა და სხვ.

ხელოვნების განყოფილება ეხლავე ენერგიულად უნდა შეუდგეს ამ საქმეს, რომ ზაფხულზე შესაძლებელი იქნეს ზოგ სოფელში მაინც თეატრის საძირკვლის ჩაყრა.

დარწმუნებული ვართ, ხელოვნების განყოფილებას დიდ დახმარებას გაუწევს ამ შემთხვევაში ადგილობრივი ორგანოები: განათლების და პოლიტგანყოფილებანი და სხვა კულტურული დაწესებულებანი და ორგანიზაციები.

შეერთებულის ძალით ეს დიდი საქმე ადვილად მოგვარდება.

გრ. მაჭავარიანი.

# ერთ დილას

(აზრი ალებულია)

მატარებლიდან გადმოვხტი. პატარა ბაქანი გავიარე და სადგურის მეორე მხარეს მოვექეცი. ერთად-ერთი მარხილი, ფიფქ თოვლში რომ იდგა, შეინძრა და ჩვენსკენ წამოვიდა.

— ვისი ხარ?—შევეკითხე მარხილზე მჯდარ ცხვრის ტყავში გახვეულ ახალგაზრდა გლეხს.

— ვეზირიანთი გახლავართ!

— შესახვედრად გამოგზავნეს?

— დიახ! პატარა ბატონის ამხანაგი მოვაო, ასე მითხრეს...

— მაშ, წამიყვანე!..

მარხილი დაიძრა. სადგურზე სამჯერ დარეკეს ზარი და ზლაზნვით და ყვირილით მატარებელი გაუდგა თეთრი ზეწრით დაფენილ მიდამოს.

პატარა მარხილი, თოვლით დატკეპნილ შარა-გზაზე მიგოგმანებდა, როგორც ტალღებში მცურავი ნავი. წინ კი მატარებელი მიჰქროდა შავი ზოლით და ჰაერში ჰფანტავდა თეთრ ბამბის ქულებს.

— შენი სახელი, ძმობილო?

— მიტრო, ბატონო!

— ბევრი კურდღლებია წლეულ, მიტრო?

— ძალიან ბევრი გახლავთ, ბატონო!.. ამას წინადაც ჩვენმა დიდმა ბატონმა ბარე ცხრა კურდღელი მოიტანა მოკლული. ამიდიც დალოცვილია და!..

ცხენს მათრახი აუღერა და აჩქარებული მარხილი ზარების ჟღარუნით ფიფქიან თოვლში შეაცურა. შარა-გზა გათავდა და სოფლის გზას გაუდექით.

ჩემი მიზანი ვეზირიანთში მისვლისა, ნადირობა იყო. სკოლის ამხანაგი,—„პატარა ბატონი“—როგორც მიტრო უწოდებდა, მეპატიჟებოდა ავსულიყავი მასთან და მამა მისთან,—ცნობილ მონადირესთან ერთად—ნადირობაში მონაწილეობა მიმეღო.

პატარა გორაკის გადაღმა ეკლესიის გუმბათი გამოჩნდა. მერე თეთრი პერანგებით შესუდრული ხეების ტოტები და მალე ჩვენს წინ გაიშალა აბუზული წიწილებივით ერთმანეთზე არეულად მიყრილი სოფლის ქოხები.

დაღმართზე დაშვებული მარხილი, ახლა გამალებით მიდიოდა. ცხენის ფრუტუნთან ერთად, მის ორ ნესტოდან ორთქლის სვეტი აქეთ-იქით იფანტებოდა.

სოფლის ნაპირად მყოფ მაღლობ ადგილზე, ქვიტკირის ორ სართულიანი სახლი გამოიყურებოდა, როგორც განდგომილი ბატონის მრისხანე სახე და სოფელს დასცქეროდა, როგორც მწყემსი გაფანტულ ცხვრის ფარას.

სახლს მაღალი ქვიტკირის ღობე ქონდა შემორტყმული. ეზოში მდგარი დიდრონი კაკლის ხეები, გაშიშვლებული თეთრი მკლავებით, სახლის სახურავს თავს გადადგომოდენ.

მარხილი ზარის ჟღარუნით ალაყაფის ღია კარში შეიჭრა. პატარა რკალი გააკეთა და კიბესთან შეჩერდა. კარებში გამოჩნდა „პატარა ბატონი“ და ჩემს დანახვაზე შესძახა:

— ოო!.. კოტე, კოტე!.. მადლობა ღმერთს, მოგიხერხებია და წამოსულხარ!—და ჩვენ ერთმანეთს გადავეხვიეთ.

— სხვა, მიტო! როგორ ხარ, როგორ ატარებ დროს!—შევეკითხე.

— აბა, რას იზამ ამ გამოყრუებულ სოფელში, რა უნდა გავაკეთო! მამაჩემს ასე ჰგონია, როგორც მას უცხოვრია, შვილმაც ისე უნდა იცხოვროსო და ქალაქში ცხოვრების საშუალებას არ მაძლევს!

გალუზლუზებულ ბუხრით გამთბარ ძველებურად მორთულ დარბაზში შევედით. კედელი სავსე იყო ირმის, შველის და გარეული თხის რქებით.

გრძელ ტახტის ზევით გაკრულ ხალიჩაზე ჩამოკიდებული იყო სხვადასხვა სისტემის თოფები, დამბაჩები, რევოლვერები, ხმლები და ხანჯლები.

მე კარგად ვიცოდი მიტოს ოჯახის ამბავი. მამა მისი ძველი ახოვანი და სოფლის ცხოვრების მოყვარული თავადი იყო. ოჯახი კარგად ჰქონდა დაყენებული. ადგილ-მამულს არ აგირავებდა, არ ჰყიდდა. ტყეს ამუშავებდა და ფიცრებს მახლობელ სადგურით რკინის გზას აძლევდა.

შვილმა სასწავლებელს მალე დაანება თავი. სამხედრო სამსახურში უნდოდა შესვლა, მაგრამ იქაც არ მოუხერხდა და ახლა სოფელში იმყოფებოდა მამასთან.

დარბაზში მალე „დიდი ბატონიც“ შემოვიდა. წვერ გაპარსული, გრძელ ულვაშებიანი, წინ მოზიდული შავი წარბებით, მართლა მრისხანე თავადს ჰგავდა.

მას თან მოჰყვა მაძებარი და მაწევარი ძაღლები. ზოგი წკმუტუნით „პატარა ბატონს“ მივარდა და თათებით პოტინი დაუწყო. ზოგი კუდის ქნევით, თავ აწეული „დიდ ბატონს“ შესცქეროდა და მის გარშემო ტრიალებდა.

— ბატონო, ლუარსაბ!—მივმართე „დიდ ბატონს“—როგორ გონიათ, ხვალ კარგი ამინდი იქნება ნადირობისათვის?

— ეგ უნდა ჩვენ ტყის მცველ გაბროსა ვკითხოთ, ჩვენი კალენდარი ის არის და არც შესცდება ხოლმე!—ბიჭო. გაბრო!..—მჭექარე ხმით გასძახა კარებში.

დარბაზში შემოვიდა ცქრიალა თვალებით, მოწითალო სახით, ჩოხაში გამოწყობილი ახალგაზრდა. ორივე მხარეზე ვაზნები ჰქონდა ჩამოკიდებული და ქამარზე მოზრდილი ხანჯალი. ხელში ბერდანის თოფი ეჭირა. კარებში ისე აიმართა, როგორც ჯარის კაცი უფროსის წინაშე. ბრძანების მოლოდინში ბატონს თვალი მიაპყრო.

— ბიჭო, ხვალ საკურდღლაო ამინდი იქნება თუ არა?—შეეკითხა ბატონი.

— როგორ არა, სენი წირიმე! ამაღამ უსათუოდ ითოვებს!.. ოსური კილოთი მისცა პასუხი გაბრომ.

— მაშ, საითკენ ჯობია რომ წავიდეთ?

— რა ვიცი. სენი წირიმე, თქვენ უკეთ მოგეხსენებათ! მე საითაც მიბრძანებდეთ იქით წავიდე!..

— მაინც!

— ყინწვისისკენ უნდა ჯობდეს!

— მაშ, შენი სიტყვა იყოს! მოემზადე ხვალისთვის!

— ბატონი ბრძანდებოდეთ!.. სხვას ხომ არას მიბრძანებდეთ!

— არა, ახლა წადი!..

რაკილა ხვალისთვის კურდღლაობა იყო გადაწყვეტილი, იმ ღამეს ადრე დავწექით.

ჯერ კიდევ ბინდი, იყო რომ გზას გაუდექით. თოფებით მხარზე გადაკიდებული მივარღვევდით ფიფქი თოვლის თეთრ ტალღებს. წინ გაბრო მიდიოდა. მერე დიდი ბატონი. შემდეგ პატარა ბატონი და ბოლოს მე.

გზა მინდორს მისდევდა ტყის ნაპირად. ბინდი თანდათან ღელეებში და ტყეში ძვრებოდა. მალე იქიდანაც გაიპარა და დღის სინათლემ მოიცვა არე.

მყუდროებას არაფერი არღვევდა. ჰაპაროსის წევით მივდიოდით გაბროს მიერ გაკვლეულ გზას.

პატარა მანძილის გავლის შემდეგ, ვიწრო ხევს გავყევით. ხის ტოტებზე ჩამოკიდებული ბამბის ქულები, მყუ-

დოოებას იცავდენ—და ეს მყუდროება ძვრებოდა ჩემს სულში, გულში და საკუთარ ფიქრებს მიცემული მივდიოდი თავდაღუნვით.

უცბად გაბრო გვერდზე გადახტა, მოიღუნა, რაღაცას დააკვირდა, თითქო კვალს გაჰყვა და შესძახა:

— ბატონო, სენი წირიმე, დავიწირე, დავიწირე!..

— ვინ დაიჭირე, ბიჭო!.. რა დაიჭირე!..

— ვინა და, ფიცრის მოსაპარავად წამოსულა ვიღაცა, აი, ნახე, მარხილის ნაკვალევი!

ჩვენ ყველა გადავედით გაბროსკენ და ორი თოვლში ჩაჭრილი მარხილის ზოლი შევნიშნეთ, ღარივით რომ მისდევდა ხეობას.

— აბა, გავყვეთ ნაკვალევს თუ სახერხავთან მიგვიყვანს!— სთქვა ბატონმა.

წინ გარბოდა გაბრო. ჩვენ უკან მივდევდით. ნაკვალევმა მალე ტყეში შეუხვია. გაბრო მოტრიალდა. ხელის აწევით გვანიშნა შეჩერდითო. მერე ისევ დაგვიქნია ხელი და როცა ვიწრო გზიდან ტრიალ მინდორზე გავედით,—იქვე შეჩერებული მარხილი შევამჩნიეთ.

მარხილში შებმული ხარები უფრო წევრებს მიაგავდენ, ვიდრე ხარებს. გვერდებზე შემხმარი ნეხვი ისე იყო ჩამჯდარი კანში, თითქო მისი მეორე პირი ყოფილიყოს. ალაგ-ალაგ აცვენილი ბალანი, ნაყვავილებივით კანს აქა-იქ აჩენდა. აბუძგული წიწილებივით შეჩერებულიყვნენ—ულელში კისერ გაყრილნი.

პირუტყვული მოთმინებით თოვლში ჩამდგარიყვენ და კუდები ამოეძუებინათ. ფერდები ორმოსავით ჰქონდათ ამოთხრილი და ამ ორმოებს ზევიდან კეხსავით გაშიშვლებული ბარძაყის ძვალი, თავს გადადგომოდა.

ცხადი იყო, პატრონი მალე გამოჩნდებოდა. და მართლაც სახერხავიდან გამოძვრა რაღაც შავი კუნძი, თავზე წამოზიდული ორი თეთრი ფიცარი. მოდიოდა, როგორც ჭანჭველა უზომო ტვირთით თავდახრილი და თან თოვლზე მოათრევდა ფიცრის ბოლოებს.

როცა მარხილს მოუახლოვდა, წინ გადახტა გაბრო, შეხედა სახეში და შესძახა:

— ბიჭო, ლექსო შენ?..

კუნძი შეჩერდა, შეინძრა. ფიცრები ზურგიდან თოვლში ისროლა და სიღრმეში წასული თვალებით მოგვათვალიერა. მერე თავი დაღუნა და კუნძივით უძრავი გახდა აძონძილი ფარაჯა, ჭუჭყისაგან უფეროული თავზე წაქრული სახოცი და არეულ წვერ-ულვაშში ჩამოკიდებული ბზის თუ ჩალის ნაწყვეტები. კალთა მოგლეჯილ ფარაჯას ქვეშ. მრავალ ადგილს დაკერებული განიერი შარვალი დაგლეჯილ პაჭიჭებში იყო ჩაშვებული. იდგა უძრავი და თავდახრილი. შუბლთან მისდევდა ორი ღარი. წამოზიდული წარბებ ქვეით. ორი შავი წერტილი, თაგვის სოროებივით გამოიყურებოდენ.

მარხილზე ჩამოჯდა „დიდი ბატონი“. პატარა ხანს შეაცქერდა გლეხს და მერე დინჯი ხმით შეეკითხა:

— ბიჭო, საბედაანთ ლექსო არა ხარ შენა?

გლეხმა თავი დაწია ძირს.

— მერე, რა ღმერთი გაგიწყრა? განა მაგას მოველოდი შენგან? რატომ ჩაიდინე ეგ საქმე? მაგრამ.. თქვენ რომ კაცი ალმიანურად მოგექცევათ, სწორედ მაშინ გაგიწყრებათ ღმერთი!.. ოი, თქვენი რჯული კი ამოვარდა. თქვენი!.. არა, შე ოხერო და მუდრეგო, რომ იპარავ ვისა ჰპარავ?..

კუნწივით თოვლში ჩაფლული გლეხი უძრავად იდგა თავჩაქინდრული.

მის [illegible] ახლო მდგარი გაბრო შეინძრა. ჯერ ბატონს შეხედა თვალებში და მერე, თითქო იქიდან დასტური მიიღო თავის კითხვაზეო—გლეხისკენ გაექანა. გვერდიდან მოუარა. მარჯვენა ხელის გაშლილი სილა შიგ სახეში სტკიცა. მერე წინ წამოგდებულ ქოჩორში ხელი მოჰკიდა, მოიზიდა, დაიქნია და მომუჭული ხელი დაუშინა ცხვირში, პირში, თვალებში!..

— კბილებში, კბილებში!.. მაგ მამაძაღლს!.. ყვიროდა ბატონი.

გააშმაგებული გაბრო გლეხს არ ინდობდა. ბერდანი თასმით ზურგზე მაგრამ მიიჭდო და ახლა ორი მომუჭული ხელი [illegible] ლექსოს სახის წინ...

ჯერ ულვაშში გამოჟონა წითელმა სითხემ, მერე ეს სითხე ნაკადებად გაიშალა ლოყებზე და შუბლზე და გაბნეულ თმებს შორის წითლად აპრიალდა.

მკლავებში გახვეული ლექსოს თავი დაბლა იღუნებოდა, რომ მუშტები აეცდინა. გაბრო კი თმაში წაავლებდა ხელს, თავს უეცრად უკან გადასწევდა და ნიკაპთან თუ ცხვირთან კვლავ ელვარებდა მუშტი.

— ეგრე... ეგრე!.. მაგ ძაღლიშვილს!.. აქეზებდა ბატონი..

კიდევ და კიდევ ბუქნაობდა მუშტი თმა გაწეწილ გლეხის კისერზე, მხრებზე,—სანამ შავ წერტილად არ გაგორდა იგი ფიფქ თოვლში და კუტივით მოჩხუნკული არ ვაინაბა...

ახლა გაბროც შეჩერდა. ქამრის და ბერდანის გასწორება იწყო. ხელები მოიფშვნიტა. თავზე ბოხოხი გაისწორა და ბატონს შეხედა.

ერთ ხანად რომ დუმილი ჩამოვარდა. ყველა შავ წერტილს დაცქეროდა. თოვლში რომ იყო პირქვე ჩაფლული. მერე ეს წერტილი შეინძრა, მუხლებზე წამოიჩოქა. იქვე გდებული თავის მოსაკრავი მოძებნა. წითელ თოვლში გახვეული წვერ-ულვაში ჩამობერტყა.

თვალები ამოიწმინდა. წამოდგა. ტყის კაცის დაბალი ტანით, გაბურძგნული წვერებით, აწეწილი თმით,—ბატონის წინ შეჩერდა.

— მომეცი შენი ჭირიმე, ეს ორიოდე ფიცარი!

წაილუღლუღა.

— რაო? დახე ამ მამაძაღლსა, რაებს მიბედავს კიდევა? შენ ჭკუაზე ხომ არ შეიშალე?

— მომეცი შენი ჭირიმე, კუბოსთვის მინდა!

— რომელი კუბოსთვის!

— ოთხმოცი წლის დედა გადამეცვალა შენი ჭირიმე!

— მერე? საქურდლად წამოხველი?

— აბა რა მექნა შენი ჭირიმე! არაფერი მომეპოვება, მიცვალებულს დამარხვა უნდა! ბარემ არ ჩავიდენდი ამ საქმესა მაგრამ. აბა.. რა ვქნა შენი ჭირიმე?.. მიმსახურე შენი კვნესამე...

— მართალია ბიჭო, რომ კუბოსთვის გინდა?

— მართალია შენი ჭირიმე, დედა გარდამეცვალა!

— მაშ, წამო! წამოიღე! ვნახოთ და თუ აქაც მატყუებ, მაშინ!..

და ბატონმა ისე გადმოკაკლა თვალები, რომ ანთებულ თონეს დაემსგავსა.

მალე გლეხისას ვიყავით.

ჩვენ დანახვაზე თავშლებით პირწაკრული დედაკაცები, ფუსფუსით აქეთ-იქით მიიმალნენ. ტალახში ჩამდგარი, ჭუჭყისაგან გაშავებული პერანგის ამარა მყოფი ბავშვები. გაშტერებული პირ ღია და განცვიფრებული სახით, შემოგვცქეროდენ.

წინ გაგვიძღვა ლექსო. თავის სადგომში შეგვიყვანა.

ბნელ ოთახში შორიდანვე გავარჩიეთ ბუხარი. ერთმანეთში არეული, საქონლისა და საკმეველის სუნი. ჩახუთული ჰაერი და კვამლი, გარს შემოგვეხვია. ფეხს ისე ვადგამდით, როგორც ოღრო-ჩოღრო გზაზე. ერთ მხარეს გრძელი ტახტი მისდევდა. ამ ტახტის ბოლოში. საბანში გახვეულ, გულხელ დაკრებილ მოხუცის მიმქკნარ სახეს გადაბრუნებულ ქოთანზე დანთებული სანთლის შუქი რხევით აკრთობდა.

მალე უკან გამოვტრიალდით.

გარედ რომ გამოვედით, დიდი ბატონი მიუბრუნდა გაბროს და უთხრა:

— გაბრო, ფიცრების ღირებულება ჩაიწერე და მერე სამუშაოთი გადაახდევინე!..

**დავით სულაშვილი.**

**ხარედაქციო კოლეგია**

ალმასყომის პირველი სტამბა, კამოს ქ., 68. ტირაჟი 10.000